საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 3 აგვისტო. 2017 წ. №156 (8293), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ამერიკა საქართველოს წითელ ხაზად ასახავს!..

③

ახალი ნახტომი კავკასიისკენ ამერიკული ტანკები თბილისშია

⑧

რუსეთი სსრკ-ში ბრუნდება მოსახლეობას სასურსათო ტალონებს დაურიგებენ

ზაალ ანჯაფარიძე: ბიძინა ივანიშვილი არჩევნებში არ ჩაერევა

⑤

რელიგიათა საბჭო საქართველოს პარლამენტს მიმართავს

③

სამარცხვინოა ჩვენი ახალგაზრდობის ეროვნული თვითშეგნების დონე!

④

პენსმა რუსეთს კიდევ ერთი მძიმე ბრალდება წაუყენა



ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა რუსეთი ბალკანეთში ვითარების დესტაბილიზაციასა და მონტენეგროში პუტჩის მცდელობაში დაადანაშაულა. საგანგებო განცხადება მაიკ პენსმა პოდგორიცაში ადრიატიკის ქარტიის სხდომაზე გააკეთა.

„რუსეთი განაგრძობს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ძალისმიერი გზით შეცვლის მცდელობას, მათ შორის, აქაც, ბალკანეთშიც. გასულ წელს მოსკოველმა აგენტებმა სცადეს, მონტენეგროს არჩევნები ჩაეშალათ. მათ პარლამენტზე თავდასხმა და პრემიერის მოკვლაც სურდათ, რათა მონტენეგროს ნატოში გაწევრებისთვის ხელი შეეშალათ,“ — აღნიშნა პენსმა.

იური ლუცენკო: თუ სააკაშვილი დაბრუნდება, იძულებული ვიქნებით, მისი საქართველოში ექსტრადირება მოვახდინოთ

უკრაინული გამოცემა „აპოსტროფი“ წერს,რომ უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირების შესაძლებლობა დაუშვა.

გუშინ უკრაინის გენერალურმა პროკურორმა ბლოგერებთან შეხვედრა გამართა. როგორც შეხვედრაზე მყოფი ერთ-ერთი ბლოგერი წერს, ლუცენკომ განაცხადა, რომ **„იძულებული იქნება სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირება მოახდინოს მისი უკრაინაში ჩასვლის შემთხვევაში“.**

ქუკუ ლოლუა ⑥

აფხაზურ-მეგრული ფოლკლორის პატრიარქი

გონიერთა მოსწრებული სიტყვა...

გერმანელ ფილოსოფოს კანტს ჰკითხეს: თქვენი აზრით, როგორი ქალები არიან უფრო ერთგულნი — შავგვრემანები თუ ქერებიო. კანტი არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა: — ჭაღარებიო...

* * *

ერთხელ ერთ ძველ ჟურნალისტს ჰკითხეს, — რას ფიქრობთ ამა და ამ ცნობილი გაზეთის საერთაშორისო კომენტატორებზეო.

— რას ვფიქრობ და ორ კატეგორიად გავყოფდი: ერთნი იმაზე მეტს წერენ, ვიდრე იციან, ხოლო დანარჩენებმა უფრო მეტი იციან, ვიდრე წერენო.

* * *

მარკ ტვენმა ანონიმური წერილი მიიღო, იქ მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა: „ღორი“. მეორე დღეს ტვენმა თავის გაზეთში ასეთი შენიშვნა გამოაქვეყნა: „ამ ბოლო დროს ხშირად ვიღებ ხელმოუწერელ წერილებს, გუშინ კი პირველად მივიღე უწერილო ხელმოწერაო“.



* * *

ერთმა აბეზარმა ქალმა შოუს ჰკითხა, — ისე როგორ ვწერო, რომ ცნობილი მწერალი გავხდეო.

— მარცხნიდან მარჯვნივო, — მიუგო შოუმ.

* * *

ერთხელ ბერნარდ შოუს ეწვია სადაზღვევო საზოგადოების აგენტი.

— თქვენი სიცოცხლის დაზღვევისთვის მოვედიო, — უთხრა მან.

— ჩემი? ტყუილად გარჯილხარ, — ჩაიცინა შოუმ, — განა არ იცით, რომ მე უკვდავი ვარო.

* * *

უინსტონ ჩერჩილს ჰკითხეს, თქვენი აზრით, რა ნიჭს უნდა ფლობდეს პოლიტიკოსიო.

— ხვალ რა მოხდება, წინასწარ უნდა შეეძლოს იმის განჭვრეტა და თუ არ მოხდა ის განჭვრეტილი, იმის ახსნა მაინც უნდა მოახერხოს, რატომ არ მოხდაო.

* * *

ფრანგ მწერალს ანდრე მორუას ერთხელ ჰკითხეს:

— ვინ უფრო შეცვალა ისტორიის მსვლელობა — კეისარმა თუ ნაპოლეონმაო.

მორუამ მიუგო:

— იმის მერე, რაც ცივილიზაცია არსებობს, არცვის ისე არ შეუცვლია ისტორიის მსვლელობა, როგორც ისტორიკოსებსო.

ამერიკა საქართველოს რთული გამოწვევების წინაშე არ დატოვებს!

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის მაიკ პენსის საქართველოში ვიზიტს აფასებს.

როგორც განცხადებაში კობახიძე აღნიშნავს, ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე თვეში, პრეზიდენტის ახალი ადმინისტრაციის მაღალი ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ არის ნათელი გზავნილი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებს საქართველოს მარტო დატოვებას რთული გამოწვევების წინაშე.

„ჩვენი ქვეყნის მთავარი სტრატეგიული პარტნიორისა და მეგობრის, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის მაიკ პენსის ვიზიტმა დაადასტურა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს რეგიონში მთავარ მოკავშირედ, სანდო პარტნიორად და ერთგულ მეგობრად განიხილავს. ვიცე-პრეზიდენტმა მკაფიო და მტკიცე მეგობრული გზავნილები გადასცა ჩვენს ხალხს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე თვეში, პრეზიდენტის ახალი ადმინისტრაციის მაღალი ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ არის ნათელი გზავნილი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებს საქართველოს მარტო დატოვებას რთული გამოწვევების წინაშე.

ვიცე-პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია გეგმავს აქტიურ თანამშრომლობას მოქმედ ხელისუფლებასთან და მმართველ პოლიტიკურ გუნდთან, რომლის მმართველობის პირობებში, მაიკ პენსის განცხადებით, ქვეყნის განვითარების ბოლო 5 წელიწადი განსაკუთრებით წარმატებული იყო.

ეს არის საქართველოს ხელისუფლების საქმიანობის უპრეცედენტო შეფასება, რომელიც გვაკისრებს უდიდეს პასუხისმგებლობას, გავაგრძელოთ დემოკრატიული რეფორმების განხორციელება, სტაბილური განვითარებით მივაღწიოთ მეტ წარმატებას და ხალხის კეთილდღეობას, რაშიც ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის იმედი უნდა გვქონდეს.“... — აღნიშნავს კობახიძე.

აშშ-ის საუბარი მოკავშირეობაზე „ქართული ოცნების“ უდიდესი წარმატებაა

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მამუკა მდინარაძის განცხადებით, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსის მიერ გაკეთებული თითოეული წინადადება, უმეტესწილად, იყო საქართველოს საგარეო-პოლიტიკური და ზოგადად, საქმიანობის მიმართულების შეფასება.

„პენსმა საქართველოს მიმართ ახალი, ძალიან მკაფიო გზავნილები გაახმოვანა. შეერთებული შტატების მხრიდან გასული 5 წლის ხაზგასმით წარმატებულად მოხსენიება და ახალი პათოსით საუბარი მოკავშირეობაზე, გახლავთ „ქართული ოცნების“ უდიდესი წარმატება და პასუხი აქამდე დასმულ ყველა კითხვაზე, რამაც კიდევ მეტი სტიმული უნდა მისცეს ჩვენს საზოგადოებას და ხელისუფლებას, გაათმაგებული დინამიკით გავაგრძელოთ განვითარება, სწრაფვა ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ, დემოკრატიის, სწორი სახელმწიფო მოწყობის, მომავალი თაობების შეუდარებლად უკეთესი ცხოვრებისაკენ“, — აღნიშნა მდინარაძემ.

„პენსმა საქართველოში ამერიკული დროშა ააფრიალა“

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორი კონსტანტინ ზატულინი „კურიერთან“ საუბარში აღნიშნავს, რომ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა თბილისში ვიზიტისას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ქვეყნის ნატოში ინტეგრაციაზე ბევრი ისაუბრა, რასაც რუსეთი მხარს ვერ დაუჭერს.

„პენსმა საქართველოში ამერიკული დროშა ააფრიალა და მისი მაღალი რანგის ქართველი მასპინძლები ყველანაირად ცდილობდნენ მისი გულის მოგებას. ეს ყველაფერი კი რუსეთის საპასუხო ნაბიჯებს იწვევს, მათ შორის პრეზიდენტის, აუცილებელი არ იყო, ეს პრეზიდენტს გაეკეთებინა, თუმცა ასე გამოვიდა, რომ პრეზიდენტი პუტინი განახორციელებს ვიზიტს. პრეზიდენტი პუტინი ჩავა აფხაზეთში, ვფიქრობ, გამონახავს დროს მოინახულოს იქ ჩვენი სამხედროები, თუ საჭირო გახდა, აუხსნის აფხაზეთის მოსახლეობას, რომ რუსეთთან დაკავშირებისა და რუსეთის აღიარების შემდეგ რატომ არ ემუქრება აფხაზეთს არაფერი,“ — განაცხადა კონსტანტინ ზატულინმა.

აფხაზეთში პუტინის ჩასვლა განგრძობადი პროვოკაციაა

ასე აფასებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ოკუპირებულ აფხაზეთში ჩასვლას.

მინისტრის შეფასებით, მთავარი ამოცანა მშვიდობის შენარჩუნებაა, რომელიც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

„გარკვეულ საპასუხო პროვოკაციულ ქმედებებს აქვს ადგილი. ეს ვიზიტიც, ალბათ, ამ რანგში უნდა განვიხილოთ. ეს ჯდება ერთიან სურათში — ეს არის განგრძობადი პროვოკაცია. ეს არის ფაქტობრივი ანექსიის მცდელობა რუსეთის მხრიდან და ჩვენი ამოცანაა, რომ ნებისმიერი ამ პროვოკაციის ნიველირება მოვახდინოთ. ჩვენი ამოცანაა, შევინარჩუნოთ მშვიდობა, რომელიც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანაა“, — განაცხადა ციხელაშვილმა.

ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკა მოგებული გვაქვს!

საქართველოს პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობათა მდივანი თენგიზ ფხალაძე ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვიზიტს საქართველოს ოკუპაციის პოლიტიკის გაგრძელებად აფასებს და აცხადებს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკა მოგებული აქვს.

„ეს ვიზიტი არის მცდელობა, რომ რუსეთმა მოახდინოს ისტორიული უსამართლობის ლეგიტიმაცია, თუმცა, ეს სრულიად წაგებული ომია, რადგან ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკა ძალიან მტკიცეა და შეიძლება ითქვას, რომ ეს ბრძოლა საქართველოს ნამდვილად მოგებული აქვს. როდესაც საუბარია მსგავსი ტიპის ქმედებებზე, ეს მხოლოდ და მხოლოდ ზიანს აყენებს რუსეთის ფედერაციის იმიჯს. რაც შეეხება ოკუპაციის თემატიკას დაფარული ანექსიის მცდელობებს, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ბრძოლასაც საქართველო მოიგებს და ისტორიული სამართლიანობა აუცილებლად აღდგება“, — განაცხადა თენგიზ ფხალაძემ.

„ყოჩაღ!“ – მაკკეინმა პენსი საქართველოში გაკეთებული განცხადებების გამო შეაქო

Great job! — ასე გამოეხმაურა სენატორი ჯონ მაკკეინი აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის მაიკ პენსის საქართველოში ვიზიტს და მის მიერ გაკეთებული განცხადებების გამო შეაქო.



სენატორი მაკკეინი Twitter-ზე Bloomberg-ის სტატიას აზიარებს სახელწოდებით — „პენსის განცხადებით, შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს გზას ნატოში რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად“. სტატიაში საუბარია საქართველოში პენსის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე და წვრთნებზე „ღირსეული პარტნიორი“, რომელშიც 1600 ამერიკელი ჯარისკაცი მონაწილეობს.

შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს აშშ-ის დელეგაცია ეწვია

შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორმა, პოლიციის გენერალ-მაიორმა მინდია ლორთქიფანიძემ აშშ-ის ჯორჯიის შტატის 78-ე საჯარისო დანაყოფის მეთაურს, გენერალ ტომას ბლექსტოკსა და აშშ-ის ევროპული სარდლობის დელეგაციას განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საბრძოლო მომზადებისა და გადამზადების ბაზაზე უმასპინძლა.

ვიზიტის მიზანი იყო ამერიკელი პარტნიორების მიერ საქართველოს შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საქმიანობის გაცნობა და არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება. სამუშაო შეხვედრაზე განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წარმომადგენლებმა აშშ-ის დელეგაციის წევრებს დეპარტამენტის საქმიანობის, განხორციელებული რეფორმების, მიმდინარე და დაგეგმილი მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინეს. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს და ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

შეხვედრის დასასრულ, სტუმრებისთვის შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საბრძოლო მომზადებისა და გადამზადების ბაზაზე, ამავე დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის მონაწილეობით, საჩვენებელი საბრძოლო წვრთნები გაიმართა. ასევე მოეწყო სპეციალური აღჭურვილობისა და ტექნიკის გამოფენა. ამერიკის შეერთებული შტატების ევროპული სარდლობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია, რომლის მხარდაჭერითაც არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა.

გიორგი მარგველაშვილმა ვეტოდადებულ კანონებს ხელი მოაწერა

არსებული ინფორმაციით, **გიორგი მარგველაშვილმა ყველა იმ კანონს მოაწერა ხელი, რომელზე მოტივირებული შენიშვნებიც საკანონმდებლო ორგანოში გადააგზავნა, თუმცა პარლამენტმა პრეზიდენტის შენიშვნები არ გაიზიარა და ვეტო დაძლია.**

შეგახსენებთ, პარლამენტმა პრეზიდენტის კიდევ ერთი ვეტო 26 ივლისს იმ კანონპროექტთან დაკავშირებით დაძლია, რომლითაც საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირებისა და ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესი იცვლება. მმართველი გუნდის მიერ საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების პროექტის თანახმად, რომელსაც გიორგი მარგველაშვილმა ხელი არ მოაწერა, პარტიების მიერ ცესკოს წევრების დანიშვნისა და მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი იცვლება.

პარლამენტმა ასევე დაძლია თვითმმართველობის კოდექსა და საარჩევნო კოდექსზე დადებული ვეტოები.

ამერიკა საქართველოს წითელ ხაზად აცხადებს!..

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტზე, მის მიერ გახმიანებულ ძირითად გზავნილებსა და მოსალოდნელ შედეგებზე „აქცენტი“ ანალიტიკოს თორნიკე შარაშენიძეს ესაუბრა.

— როგორც ჩანს, ამერიკა საქართველოს წითელ ხაზად აცხადებს, ამბობს, რომ საქართველოსთვის ხელის შეხება ნიშნავს ამერიკისთვის ხელის შეხებას. თავად განცხადების ტექსტი მძაფრი იყო და გასაგებია, რა დგას ამის უკან: მადლობა ღმერთს, ამერიკაში კარგად ხედავენ ყველაფერს, ხედავენ, ვინ არის დამნაშავე, ვინ — უდანაშაულო, ასევე ხედავენ საქართველოს სერიოზულ მნიშვნელობას დასავლეთისთვის: საქართველო კარიბჭეა მთელი სამხრეთ კავკასიისთვის და თუ საქართველოში შემოდის რუსი, პრაქტიკულად, მთელი კავკასია იკარგება. თუ ჩვენ რუსეთის ხელში აღმოვჩნდებით, რუსეთის ხელში აღმოჩნდება აზერბაიჯანიც, სომხეთი რეალურად, ისედაც მის ხელშია, ამგვარად, მთელს რეგიონში რუსეთი იქნება წარმოდგენილი, თურქეთი კიდევ უფრო რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება, რუსეთს კიდევ უფრო გაეხსნება ხელ-ფეხი შუა აზიაში, კიდევ მეტ საფრთხეს შეუქმნის მთლიანად შავ ზღვას და ა.შ. ამდენად, საქართველო სერიოზული კარიბჭეა და, მადლობა ღმერთს, ამერიკაში ამას მიხვდნენ. როგორც ჩანს, ეს მესიჯები გაფრთხილებაა (მათ შორის, დემონსტრაციული ჟესტი იყო სამხედრო ტექნიკის გატარება ტრასაზე, საიდანაც ნახევარ კილომეტრში დგანან რუსები), რომ „ეს ჩვენი წითელი ხაზია“.

— ამ განცხადებებს, ალბათ, კონკრეტული ქმედებებიც უნდა მოჰყვეს. რა კონკრეტული მოლოდინები შეიძლება, გვქონდეს აშშ-ის ადმინისტრაციისაგან?

— ალბათ, რუსეთის შედარებით უკან დახევას უნდა ველოდოთ. თუმცა თუ თავად ჩვენ არაფერი გავაკეთეთ, მხოლოდ ამერიკის განცხადებები ვერ გვიშველის. ვგულისხმობ უპირველესად საოკუპაციო ხაზს. თუ იქ რაღაცნაირად არ გამკაცრდა ჩვენი პოლიტიკა, მარტო ამერიკა ვერ გვიშველის. ჩვენც უნდა მივეხმაროთ საკუთარ თავს. ეს არის ჩვენთვის უმთავრესი მტკივნეული პრობლემა. რაღაცნაირად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ შეჩერდეს ეს პროცესი (მცოცავი ანექსია).

— როგორ ფიქრობთ, არსებული რეალობის გათვალისწინებით, რისი გაკეთება შეგვიძლია საოკუპაციო ხაზთან?

— მინიმუმ — იმის, რომ მთავრობამ ხელი კი არ უნდა შეუშალოს, პირიქით, ჩუმად მაინც ხელი უნდა შეუწყოს იქ ჩვენი აქტივისტების ყოფნას, რომ ადგილზე არ იყოს ვაკუუმი, რომ ამ ვაკუუმში რუსები და ოსი სეპარატისტები სურვილისამებრ არ დადიოდნენ და წევდნენ საოკუპაციო ხაზს. ვაკუუმი არ უნდა იყოს, პირიქით, მათ დისკომფორტი უნდა შევუქმნათ.

ამასთან, იქ მუდმივად უნდა იყოს რომელიმე უცხოური ტელეარხის კამერა და ფიქსირდებოდეს, რა ხდება: რომ ხალხი მშვიდობიანად აპროტესტებს ოკუპაციას, რომ რუსები ყოველ წამს შეიძლება, მოვიდნენ და გადმოსწიონ საოკუპაციო ხაზი.

მესამე, რისი გაკეთებაც შეიძლება, უფრო რთულია და ამას წინა მთავრობა უფრო ეფექტურად აკეთებდა: ჩვენმა სპეცსამსახურებმა არავის არაფერი უნდა შეარჩინონ. როდესაც მსგავსი სიტუაცია გაქვს, რომ მტერს ღიად ვერ ეომები, არსებობს სპეცსამსახური და თუ მოწინააღმდეგე რამეს ბედავს, ეს ცხვირში სწორედ სპეცსამსახურის მეშვეობით უნდა ამოადინო. რატომ არის, რომ დღეს ოთხოზორიას მკვლელი ბედავს და თავისუფლად დადის? — იმიტომ, რომ შურისძიების პრაქტიკა, რომელიც ადრე გვქონდა, აღარ არსებობს. ასე აკეთებს ისრაელის სპეცსამსახური: თუ ვინმე შეეხება ებრაელს, მას მსოფლიოს მასშტაბით დასდევენ. იცით, ებრაულმა სპეცსამსახურმა რა უქნა ნაცისტებს? სანამ არ ამოხოცეს, არ მოისვენეს; საზოგადოებას აჩვენეს, რომ ბოროტმოქმედება არავის შერჩება. ასევე უნდა მუშაობდნენ ჩვენი სპეცსამსახურებიც. თუ ვინმე გათავხედდება და ჩვენიანს მოკლავს, ეს პასუხგაუცემელი არ უნდა დარჩეს. შემდეგ ასე მარტივად ვღარ იპარპაშებენ: ვიღაც გადმოვა, მოქალაქეს მოკლავს, ვიღაცას მოიტაცებენ, გადმოსწევენ საოკუპაციო ხაზს... ეს ასე მარტივად არ უნდა ხდებოდეს, ჩვენების უნდა ეშინოდეთ. დღეს ფაქტია, რომ არ ეშინიათ.

— მაგრამ რამდენად იქნება მსგავსი მიდგომა თანხვედრაში ჩვენ მიერ გაცხადებულ მშვიდობიან კურსთან?

— ისრაელი თავისთვის არის, უჭირავს ფრონტის ხაზი, ღიად ომს არავის უცხადებს, მაგრამ თუ ვინმე ისრაელის მოქალაქეს შეეხება, ცხვირში ამოადენს. თუმცა, ცხადია, შემდეგ სახელმწიფო არ აღიარებს, რომ ამას აკეთებს...

— მაგრამ ისრაელს შესაძლებლობებით ალბათ, ცოტა ჩამოვრჩებით...

— ოდესმე რაიმეს ხომ უნდა დავემსგავსოთ?! თუ სახელმწიფო ხარ, უნდა გქონდეს შესაბამისი იმიჯი და ყველამ იცოდეს, რომ თუ შენი მოქალაქის წინააღმდეგ ითავხედებს, არ შერჩება!

— „აქცენტისთვის“ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში პესიმისტური პროგნოზი გააკეთეთ დასავლეთის იმჟამინდელი მდგომარეობის, აგრესიული რუსეთისა და მსოფლიოში უამრავი ცხელი წერტილის არსებობის გათვალისწინებით. სადღეისოდ რაიმე შეცვლილია?

— მომწონს, რომ ტრამპს „ხელი მოუჭირა“ კონგრესმა და რუსეთის მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარებისკენ უბიძგებს. მეორე: ევროპა მიხვდა, რომ ტრამპი ცოტა უცნაური პარტნიორია და მან საკუთარ თავს რაღაცნაირად თავად უნდა მიხედოს, ბოლომდე მხოლოდ ამერიკელების იმედად არ უნდა იყოს. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები იწყებენ საკუთარი სამხედრო ბიუჯეტის გაზრდას. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი — გერმანია მას მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-მდე ზრდის, რაც უზარმაზარი თანხაა.

მიუხედავად იმისა, რომ ამხელა ქაოსი და ამდენი ცხელი წერტილია მსოფლიოში, სიტუაცია ისე ვითარდება, რომ რუსეთმა თავისთვის ძალიან ბევრი საბრძოლო ფრონტი გახსნა, ეს კი ჩვენთვის შესაძლოა, კარგი იყოს. საბრძოლო ფრონტი ახლა რუსეთისთვის აუცილებლად ბალტიისპირეთი იქნება, რადგან იქ განლაგდნენ ამერიკელები, გერმანელები, ინგლისელები და კრემლი იძულებულია, ყურადღება იქით გადაიტანოს. ჩვენ ამ ეტაპზე საბრძოლო ფრონტი არ გვაქვს. იმედი ვიქონიოთ, რომ (მოსკოვი) ცოტა ხნით თავს დაგვანებებს, იქნებ „გავძვრეთ“.

ესაუბრა
დიანა მუსელიანი

ბუკიკიომ ოპოზიციური პარტიები სტრასბურგში მიიწვია

ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა ჯანი ბუკიკიომ საქართველოს კვალიფიციური ოპოზიციური პარტიების საკოორდინაციო საბჭოს წერილით უპასუხა და ისინი 6 სექტემბერს სტრასბურგში მიიწვია, — ამის შესახებ წერილშია აღნიშნული, რომელსაც პარტია „თავისუფალი საქართველო“ ავრცელებს.

ვენეციის კომისიის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ვენეციის კომისიის როლი არ არის გადაწყვეტილების შეთავაზება. მისივე თქმით, მას შეუძლია შესთავაზოს ერთდღიანი შეხვედრის ორგანიზება სტრასბურგში, ამა წლის 6 სექტემბერს, სადაც ერთმანეთს მმართველი კოალიციისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები შეხვდებიან.

„როგორც მე ადრე აღვნიშნე, ვენეციის კომისია დარწმუნებულია, რომ გადაწყვეტილება საქართველოს პოლიტიკურ ძალებს შორის დიალოგის მეშვეობით უნდა გამოიძებნოს, რისი მიზანიც ყველაზე ფართო კონსენსუსის მიღწევა უნდა იყოს.

თუ საქართველოს პოლიტიკურ ძალებს სურთ შეხვედრა შესაძლო კომპრომისის განსახილველად, ვენეციის კომისია მზად არის ხელი შეუწყოს ამგვარ დისკუსიებს.

მოგიწოდებთ თქვენ და საქართველოში ყველა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს ეს შესაძლებლობა გამოიყენოთ, რათა კონსტრუქციული კომპრომისი გამოძებნოთ“, — აღნიშნა ბუკიკიომ.

რელიგიათა საბჭო საქართველოს პარლამენტს მიმართავს

სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოს წევრები საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებების პროექტში გათვალისწინებულ იმ დებულებებს ეხმაურებიან, რომლებიც რწმენის, სინდისის და აღმსარებლობის თავისუფლებას და მათ შეზღუდვას შეეხება.

როგორც გავრცელებულ განცხადებაში წერია, საბჭო მოუწოდებს პარლამენტს, არ დაუშვას ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის გაუარესაბა და არ გადადგას ნაბიჯი დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედის — რელიგიის თავისუფლების ხელყოფის სასარგებლოდ.

„როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით მიღებულ რედაქციაში, აღმსარებლობის თავისუფლების დაცვის მუხლს დაამატა და გააფართოვა დაცულ სფეროში ჩარევისა და შეზღუდვის საფუძვლები. თუკი მოქმედი კონსტიტუცია რელიგიის თავისუფლების შეზღუდვას მხოლოდ სხვათა უფლებების დასაცავად ითვალისწინებდა, წარმოდგენილ პროექტში მას დაემატა ისეთი საფუძვლები, როგორიცაა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობის დაცვა და მართლმსაჯულების განხორციელება.

მიგვაჩია, რომ წარმოდგენილი კრიტერიუმები რელიგიის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის საფრთხეს წარმოშობს. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ისეთი საფუძვლების დამატება, როგორებიცაა სახელმწიფო უსაფრთხოება, დანაშაულის თავიდან აცილება და მართლმსაჯულების განხორციელება. დასახელებული კრიტერიუმები არ არის განჭვრეტადი და წარმოშობს მაღალ რისკს, რომ მათი გამოყენება შესაძლოა, არ ემსახურებოდეს ლეგიტიმურ და დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელ მიზნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ამგვარ საფუძვლებს არ უშვებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი და ევროპული კონსტიტუციების აბსოლუტური უმრავლესობა.

როდესაც ვსაუბრობთ რწმენისა და აღმსარებლობის კონსტიტუციით შეზღუდვის საფრთხეებზე, ვითვალისწინებთ იმ მრავალწლიან გამოწვევებსა და ბარიერებს, რომლებსაც რელიგიური გაერთიანებების დიდი ნაწილი ვაწყდებით საქართველოში. ჩვენ არაერთხელ გავმხდარვართ ჩვენი რწმენის გამოხატვის შეზღუდვის, ძალადობისა და შეუწყნარებელი დამოკიდებულების მსხვერპლი. ქვეყნის უზენაეს კანონში კი უფლების შეზღუდვის ბუნდოვანი და არაგანჭვრეტადი საფუძვლების დამატებით, შესაძლოა, აღმოვჩნდეთ იმ გამოწვევის წინაშე, რომ ძირითადი კანონის, კონსტიტუციის საფუძველზე, რელიგიური გაერთიანებების უფლებათა არამართლზომიერ შეზღუდვას მიეცეს ლეგიტიმაცია.

მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, არ დაუშვას ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის გაუარესება და არ გადადგას ნაბიჯი დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედის — რელიგიის თავისუფლების ხელყოფის სასარგებლოდ“, — ნათქვამია განცხადებაში.

სამარცხვინოა ჩვენი ახალგაზრდობის ეროვნული თვითშეგნების დონე!

ხშირად არის საუბარი ეროვნულ ცნობიერებაზე, ეროვნულ თვითშეგნებასა და ეროვნულ სიამაყეზე. ამ სამ ცნებას ერთმანეთში ურევენ და ზოგჯერ იდენტურადაც კი წარმოგვიდგენენ. ყოველი სიამაყე დასაგმობია. ეს, სხვათა შორის. სამწუხაროდ, სამეცნიერო წრეებში იგივე გაურკვევლობა სუფევს, რაც საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში.

„ილიას შთაგონება – მამული, ენა, სარწმუნოება“ – დროული და აუცილებელი იყო. პატრიოტიზმის გარკვევისთვის კი საჭიროა ცნებების განმარტება, კონკრეტიკა და ამ ცნებათა სიღრმისეული შრეების წვდომა. მეორეც, თუ ერი სარწმუნოებას დაკარგავს, მასთან ერთად დაიკარგება ეროვნულობა? – რასაკვირველია, არა.

თვით პატრიარქის თქმით, ინგლისის მოსახლეობის 95 პროცენტი არ არის რელიგიის მიმდევარი, ხოლო 5% მიმდევრის უმეტესობა ჩამოსულია. მიუხედავად ამისა ინგლისელთა პატრიოტიზმი გამორჩეულია. ასევე გამორჩეულია ბრაზილიელთა პატრიოტიზმიც, თუმცა მათ არც ენა და სარწმუნოება საკუთარი არა აქვთ. არის შემთხვევები, როდესაც ერი ყველაფერს კარგავს – ენას, მამულს და სარწმუნოებასაც, მაგრამ ინარჩუნებს ეროვნულ ცნობიერებას. მაგალითად, ებრაელები. შეიძლება შემომეკამათონ – მათ ხომ შეინარჩუნეს სარწმუნოება? ებრაელთა სარწმუნოება უფრო მეტად მათი უძველესი ზნე-ჩვეულებებია, ტრდიციებია, ვიდრე კლასიკური გაგებით გარკვეული მიმდინარეობის სარწმუნოება.

რასაკვირველია, როდესაც ადამიანი კარგავს ზემოხსენებული სამი ატრიბუტიდან ერთს ან რამდენიმეს ერთად, უსუსტდება ეროვნული ცნობიერება. რაც შეეხება პატრიოტიზმს და სარწმუნოებას. ყველა ერი გარკვეულ სარწმუნოებას თავის თავზე ირგებს და ამით სურს, გააძლიეროს პატრიოტიზმი.

ხშირად იტყვიან, ქრისტიანულმა სარწმუნოებამ გადაგვარჩინაო, ესეც, მართალია, ვინაიდან გარეშე მტრებს ვუპირისპირდებოდით, ასე ვთქვათ, ორი იარაღით – პატრიოტიზმით და სარწმუნოებით. ვინაიდან დღესაც ქართველ ხალხში ფესვგამდგარია ქრისტიანული სარწმუნოება, ამ კუთხით ერის დაქსაქსვა როდი ნიშნავს ერის სიმტკიცეს? – ეს პრაქტიკულად უკვე დამტკიცდა, როდესაც ადიგენის რაიონში მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები.

საკითხიდან იმიტომ გადავუხვიე, რომ არ იფიქრონ ეროვნულობასთან დაკავშირებით არ ვითვალისწინებდე მრავალ ფაქტორს. ისე, ადრე გამოვაქვეყნე სტატიები – „ერის სიმტკიცის კრიტერიუმები“, „როგორ წარმოიშვნენ ერები“, „რას ნიშნავს ერთ ერად ჩამოყალიბების პროცესის დამთავრება“ და სხვ.

ვინაიდან ერთ სტატიაში ყოველივეს მოცვა და განხილვა შეუძლებელია, ამჯერად შემოვიფარგლები მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ცნობიერების და ეროვნული თვითშეგნების რაობის დადგენით.

ეროვნული ცნობიერება **ადამიანის მიერ ეროვნულობის აღიარებაა, რაც თავისი ერისადმი მარადიულ სიყვარულში ვლინდება და სხვა ერის წარმომადგენლად ყოფნის შეუძლებლობით ხასიათდება.**

ხშირად ქართველები თვითკრიტიკით გამოვდივართ და ვამბობთ: გადაჭარბებით ნუ შევაქებთ ჩვენს ერს, სხვა ერებიც არსებობენ, რომელთაც ჩვენზე ნაკლებად როდი მოსწონთ თავი.

მართებულად არ მიაჩნიათ ასეთი გამონათქვამები: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ, სულ ხელის გულზე სატარებელი“, „ქართველები ღვთის წილ მიწაზე სახლობენ“ და ასე შემდეგ. ამგვარი წარმოდგენა საკუთარ თავზე ყველა ერს აქვს, ყველა ერი მიიჩნევს საკუთარ თავს გამორჩეულად. ზოგჯერ ეს წარმოდგენა ნაციზმშიც კი გადაიზრდება (გავიხსენოთ გერმანული ფაშიზმი). ქართველებში რომ მძაფრად გამოხატულია ეროვნული ცნობიერება, ეს ნათლად ჩანს ამ ლექსშიც: ,,რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ, მაინც ვიქნები ქართველი“.

ბუნებრივია, ეროვნული ცნობიერება უპირველესია ადამიანის ყოფაში. მძლავრად აქვს ნათქვამი მაქსიმ გორკის: ,,პატრიოტიზმი, ეს – ინტელექტუალური ძალის ცნებაა“. მაგრამ, თუ ადამიანი ვერ აცნობიერებს, ერისთვის რა არის კარგი და რა – ცუდი, რის გაკეთებაა საჭირო ერის საკეთილდღეოდ, მისი ქმედება ყოველთვის არ იქნება ქვეყნისთვის სასარგებლო. მეტიც, ზოგჯერ მისი ქცევა შეიძლება ზიანის მომტანიც კი აღმოჩნდეს. იმისთვის, რომ ადამიანის ყოველი ნაბიჯი, ქმედება, ქცევა ერის კეთილდღეობასთან თანხვედრილი იყოს, ამის საშუალებას იძლევა ეროვნული თვითშეგნების არსის გარკვევა.

ვიდრე ეროვნული თვითშეგნების ჩემეულ განმარტებას ჩამოვაყალიბებდე, მსურს, ექსკურსი გავაკეთო ჩემი ცხოვრების წარსულიდან. ანტისაბჭოური ქმედება დავიწყე ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდიდან (1955წ.), რისთვისაც კომკავშირიდან გამრიცხეს. 1957 წელს კი – ინსტიტუტიდან, იგივე ქმედებისთვის. გასული საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში დავაარსე არალეგალური ორგანიზაცია სახელწოდებით – „ეროვნული თვითშეგნების აღორძინება“. ბუნებრივია, ეს ცნება **უნდა განმემარტა. ფიქრის შემდეგ ჩემი სათქმელი ასე ჩამოვაყალიბე: ეროვნული თვითშეგნების მქონე ადამიანის ქცევის მამოძრავებელი ძალა პატრიოტული სულისკვეთებაა. მისი ქმედება შორს გამიზნულია, არ ემყარება, პოპულისტობას და ემსახურება ერის აწმყო და სამომავალო კეთილდღეობას. მას უნარი შესწევს, ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნოს ერისთვის სასარგებლო და საზიანო ქმედებანი და დაასახელოს ამ საქმეთა მკეთებელი ადამიანები.**

მისი ქმედება თანხვედრაშია კაცობრიობის სხვა ერების ინტერესებთან. ამგვარი თვისებების მატარებელი ადამიანი კაცობრიობის უწყვეტი არსებობის ფუნქციურ რგოლსაც წარმოადგენს. აცნობიერებს რა საკუთარი და ერის უარყოფით მხარეებს, თვითაღზრდით, თვითცნობიერებით, თვითდაკვირვებით დღენიადაგ იმაღლებს ეროვნული თვითშეგნების დონეს და იღვწის ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ეროვნულ თვითმაცნობიერებელ ადამიანს მარადიული სიცოცხლის განცდა ეუფლება, ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში სამშობლოსთვის თავგანწირვა მისთვის წმინდათაწმინდა საქმეა და მას დიდ სულიერ სიამოვნებას ანიჭებს.

სწორედ ეს განმარტება იძლევა იაპონური ხარაკირობის (თვითმკვლელობის) მოტივის ახსნას. ესე იგი ზოგი იაპონელის სიყვარული სამშობლოსადმი იმდენად დიდია, რომ მას მარადიული სიცოცხლის განცდა ეუფლება და ამის შემდეგ მის ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ არსებობას შორის განსხვავებაც არ არსებობს.

ერთი სიტყვით:

„სამშობლოსათვის მებრძოლს,
თუკი მომხვდება ტყვია,
ამგვარ სიკვდილის მოსვლას
მარადისობა ჰქვია“.

ვურჩევ ყველა ქართველს წაიკითხოს ეს განმარტება და ღრმად ჩაუფიქრდეს – შეესაბამება თუ არა მისი ყოველი ქმედება ჭეშმარიტ პატრიოტიზმს? ვიტყოდი, სანთლით საძებარნი არიან ეროვნული თვითშეგნების მაღალი დონის ადამიანები.

შოკის მომგვრელი და სამარცხვინოა ჩვენი ახალგაზრდების ნაწილის ეროვნული თვითშეგნების დაბალი დონე. ახალგაზრდებს ჯარში სამსახური არ სურთ! მინისტრიც რომ შესაბამისი გვყავდა, – ასეთ ვითარებაში საერთოდ, აკრძალა ჯარში სავალდებულო სამსახური! ხიდაშელმა ძართული ჯარის მოშლა მოისურვა! რა ეწოდება ამგვარ ძმედებას, თვით მკითხველმა განსაჯოს.

რა თქმა უნდა, ახალგაზრდებს არ და ვერ ვზრდით პატრიოტული სულისკვეთებით. მეტიც, თითოეული მშობელი თავის შვილს შთააგონებს, რომ მხოლოდ საკუთარი სურვილების მიხედვით იცხოვროს, საკუთარი ცხოვრების მოწყობას მოახმაროს მთელი ენერგია და ძალ-ღონე!..

ჩვენთან გავრცელებულია მეტად მცდარი მოსაზრება: უპირველესია ინდივიდის თავისუფლება, დანარჩენი ყველაფერი კი თავისით მოგვარდებაო. ჩემ მოსაზრებას ასე ვაყალიბებ: ყველაფერი ემორჩილება სამყაროს ,,მოთხოვნებს“, ვინც ამას არ ასრულებს – ისპობა, ქრება. მაგალითად, როდესაც რომელიმე ციური სხეული გადაუხვევს საკუთარ ორბიტას, უსაზღვრო სივრცეში იფერფლება და ქრება.

მოთხოვნა და რიგითობა ასეთია: სამყაროს მოთხოვნებს განუხრელად ასრულებენ გალაქტიკები, თანავარსკვლავედები, ვარსკვლავები, პლანეტები. ჩვენი პლანეტის მოთხოვნებს უნდა ასრულებდეს კაცობრიობა, კაცობრიობის მოთხოვნებს კი – თითოეული სახელმწიფო და ერი. თავის მხრივ სახელმწიფოს მოთხოვნებს უნდა ასრულებდეს, საზოგადოება, ოჯახი. აი, ინდივიდის მოთხოვნა ბოლო ადგილზე დგას. ჩვენში კი ასე მრუდედ მსჯელობენ: ინდივიდის ირგვლივ უნდა ტრიალებდეს მთელი სამყარო. იმიტომაც არის ქართულ სახელმწიფოებრიობას ასე გულგრილად რომ უყურებენ ახალგაზრდები.

სამყარო და ადამიანი, რასაკვირველია, ორი ფრაზით არ ამოიწურება, ამისთვის მრავალი ტომის დაწერაა საჭირო. სამყარო ეროვნულ თვითშეგნების არსის გარკვევასთან მიმართებით ვახსენე.

ისე არავინ გამიგოს, რომ ჩემეული განმარტება ერთადერთი და შეუვალია. რასაკვირველია, მეტის მომცველი და სრულყოფილი განმარტება არსებობს, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემეული განმარტებაც წვლილს შეიტანს ამ რთული ამოცანის შესრულების საქმეში. იმასაც აღვნიშნავდი, რომ საზღვარგარეთ საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებზე ლექციების კითხვისას მოსწონებიათ ჩემი ზემოხსენებული განმარტება და სხვა ენებზეც უთარგმნიათ ის.

ვაჟა ულენტი

ცოცხალი ჯაჭვი ყარაფილა-ბერშუეთის მონაკვეთზე

„ძალა ერთობაშია“ მოქალაქეებს 8 აგვისტოს, თბილისში, ვარდების მოედანზე შეკრებისკენ მოუწოდებს და აქედან თბილისი-სენაკი ლესელიძის ავტომაგისტრალის ყარაფილა-ბერშუეთის მონაკვეთზე მათთან ერთად გამგზავრებას გეგმავს, რათა აგვისტოს ომის 9 წლისთავთან დაკავშირებით ცოცხალი ჯაჭვი მოაწყონ და ამით პატივი მიაგონ ომში დაღუპულთა ხსოვნას და ასევე გააპროტესტონ რუსული ოკუპაცია.

„შემხვდა განხილვა, 7 აგვისტოს უფრო მიზანშეწონილია ჯაჭვი თუ 8 აგვისტოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ერთი ან მეორე დღის არჩევით რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების თარიღს კი არ ვარკვევთ, არამედ პატივს მივაგებთ ომში დაღუპულ გმირებს და გამოვხატავთ პროტესტს მცოცავი ანექსიის მიმართ. მაგისტრალის ყარაფილას მონაკვეთი ის ადგილია, რომელიც ძალიან კარგად ჩანს წინაგარას რუსული ბაზიდან, ამასთან, 400 მეტრში გზისპირიდან ის ცნობილი საოკუპაციო ბანერია, ეს ადგილიც ამიტომ შევარჩიეთ, სულაც რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ 25 ივლისიდან იქ ჩვენი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია და პარალელური პერფორმანსი მიმდინარეობს“, – ამბობს მისიის ერთ-ერთი ორგანიზატორი ლაშა ბერულავა ,,პირველ რადიოსთან“ საუბრისას.

ზაალ ანჯაფარიძე:
ბიძინა ივანიშვილი არჩევნებში არ ჩაერევა

ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილი არ ჩაერევა თვითმმართველობის არჩევნებში, რაც მისი თქმით, ლეგიტიმაციის თვალსაზრისით მმართველი პარტიის კანდიდატისთვის იქნება კარგი. for.ge-სთან საუბრისას ანალიტიკოსი აცხადებს, რომ NDI-ის კვლევა არჩევნების საბოლოო შედეგებზე გავლენას ნაკლებად მოახდენს, თუმცა მეორე ტურის შესაძლებლობას უშვებს.

დღეს ზაალ ანჯაფარიძე გვესაუბრება.

— კახა კალაძე 30%; ალეკო ელისაშვილი 19%; ზაალ უდუმაშვილი18%; ელენე ხოშტარია 5% — ასეთია NDI-ის კვლევის შედეგები. თუმცა საპირისპირო შედეგები აქვს „ქართულ ოცნებას“. შიდა კვლევის თანახმად პირველ ადგილს იკავებს კახა კალაძე, მეორე ადგილს — ზაალ უდუმაშვილი. მმართველი ძალის შიდა კვლევით, დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ნდობის პროცენტი აქვთ ალეკო ელისაშვილს და ელენე ხოშტარიას. რითი ხსნით ამ სხვაობას?

— როგორც ჩანს ორივე ორგანიზაცია კვლევას განსხვავებული მეთოდოლოგიით ატარებს. შესაბამისად, მიზნებიც განსხვავებულია. NDI-ის სურს, შექმნას ისეთი სურათი, რომ თვითმმართველობის არჩევნებზე მეორე ტური არის გარდაუვალი. შესაბამისად, ჩემი აზრით, სხვა მიზეზებთან ერთად, ამითაც არის გამოწვეული ის, რომ ამ ორ კანდიდატს აქვს დაახლოებით ასეთი რეიტინგი. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ელისაშვილს ჰყავს თავისი ელექტორატი.

— ვინ არის ის ელექტორატი, რომელიც ელისაშვილს უჭერს მხარს?

— ეს არის თბილისის ის მოსახლეობა, რომელიც შეწუხებულია იმ პრობლემებით, რომელსაც სისტემატურად პედალირებს ელისაშვილი, თავისი საჯარო საქმიანობის დროს. ზალიკო უდუმაშვილი არის ცნობადი პიროვნება, მასაც ჰყავს თავისი მომხრეები, რომლებსაც მოსწონთ ის იმიტომ, რომ არის ზალიკო უდუმაშვილი. მათ არ უნახავთ უდუმაშვილი არც ოფიციალური პირის რანგში, არც პოლიტიკოსის და არც მეურნის რანგში. უბრალოდ, პიროვნული სიმპათია აქვთ მის მიმართ. რაც შეეხება ელენე ხოშტარიას, მის მიმართ ცოტა არ იყოს, გაორებული დამოკიდებულება აქვთ.

ჯერ ერთი, ის ფაქტორი, რომ ის არის ქალბატონი, ალბათ თამაშობს თავის როლს და ვიღაცებს მიაჩნიათ, რომ მერის თანამდებობის ნდობა ქალბატონისთვის არ შეიძლება და რომ მერი აუცილებლად მამაკაცი უნდა იყოს. როგორც ჩანს ჩვენში ჯერ კიდევ ბატონობს ეს შეხედულებები. გარდა ამისა, როგორც ჩანს ქალბატონმა ელენემ ვერ შეარჩია სწორად ის გზავნილები, რითაც ის უნდა მივიდეს მოსახლეობასთან. მაგრამ ეს ყველაფერი არის წინასწარი კვლევა და საარჩევნო კამპანიის დროს შეიძლება ეს მონაცემები და რეიტინგები მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

— როგორ ფიქრობთ, კვლევა გავლენას მოახდენს არჩევნების შედეგებზე?

— მე ვფიქრობ, რომ ეს გავლენას ნაკლებად მოახდენს არჩევნების საბოლოო შედეგზე. შეიძლება დაინიშნოს მეორე ტური იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი დღეს ისეთი მაღალი არ არის, როგორც წინა თვითმმართველობის არჩევნების დროს და მაშინაც ასევე მეორე ტური დაინიშნა. ჩემი პროგნოზით კალაძე ამ არჩევნებს მოიგებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მეორე ტური დაინიშნა.

— როდესაც NDI-ი ამბობს, რომ პირველ ადგილს იკავებს კალაძე და მეორეს ელისაშვილი, ეს ნიშნავს იმ აზრის დამკვიდრებას ამომრჩეველში, რომ მეორე ტური გარდაუვალია და ეს იქნება კალაძესა და ელისაშვილს შორის?

— არავინ იცის, ვისა და ვის შორის შეიძლება შედგეს მეორე ტური. კიდევ ვიმეორებ, რომ ჩემი შეფასებით NDI-ს ამ კველვის მიზანი და ფარული გზავნილი იყო საზოგადოების აზრის ჩამოყალიბება, რომ უნდა შეეგუონ მეორე ტურს.

— ელისაშვილის მეორე ადგილზე გასვლა ქმნის გაურკვევლობას საზოგადოებაში...

— იყოს, კი ბატონო, მაგრამ ეს კვლევა ხომ არ არის ჭეშმარიტების ბოლო ინსტანცია. მოცემულ მომენტში ვიღაცა იყო ასეთ ხასიათზე და გასცა ასეთი პასუხი, მაგრამ ვნახოთ შემდეგ როგორი პროპორცია დადგება. იქნებ ზალიკო უდუმაშვილმა, ან ელენე ხოშტარიამ მოიფიქრონ და ისეთი რაღაცა შესთავაზონ ამომრჩეველს, რომელიც სრულიად გადაფარავს ელისაშვილის ინიციატივებს, მის საქმიან შარმს, თუ ქარიზმას.

— არჩევნების შედეგებზე გადამწყვეტ გავლენას მოახდენს ის, რომ ელისაშვილს მხარს უჭერენ „რესპუბლიკელები“, „თავისუფალი დემოკრატები“ და ლეიბორისტები?

— ჯერ არ ვიცით რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები უჭერენ თუ არა მხარს ელისაშვილს. ოფიციალურად არ უთქვამთ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თუ ისინი დაუჭერენ მხარს ელისაშვილის კანდიდატურას, ეს მისთვის უფრო საზიანო იქნება, ვიდრე სასარგებლო.

ასეთ შემთხვევაში მას შეიძლება მისი ტრადიციული ელექტორატი განუდგეს. მოგეხსენებათ, რომ რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები მაინცდამაინც დიდი ელექტოლარული რესურსის მფლობელნი არ არიან. ლეიბორისტები — მეტ-ნაკლებად, მაგრამ არა მგონია, მათ რამე ღირებული შემატონ ელისაშვილის კანდიდატურას. ამიტომაც ფრთხილად უნდა იყოს მხარდამჭერების შერჩევაში.

— რაც შეეხება გადაუწყვეტელ ამომრჩეველს, 62% ამბობს, რომ არ იცის წავა თუ არა არჩევნებზე. გასაგებია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა არჩევნებამდე გადაუწყვეტელ ამომრჩეველზე უნდა იმუშაონ, მაგრამ როდესაც არჩევნებამდე 3 თვით ადრე 62% არის ასეთ განწყობაზე, ეს რამდენად არის პრობლემა, რამაც შეიძლება არჩევნების შედეგებზე გავლენა მოახდინოს?

— რა თქმა უნდა, გადაუწყვეტელი ამომრჩეველი არის პრობლემა. რაც ნაკლები ამომრჩეველი მივა არჩევნებზე, მგონია, რომ ეს უფრო მმართველ პარტიას აწყობს. იმიტომ, რომ მას თავისი ორგანიზაციული, ადმინისტრაციული და სახელისუფლებო რესურსებით შეუძლია მხარდამჭერთა კრიტიკული მასის მობილიზება. მე მგონია, რომ ელექტორალური სეგმენტის ასეთი განლაგება, ოპოზიციას არანაირად არ უნდა აწყობდეს.

— თბილისის მერის არჩევნებში კახა კალაძე გაიმარჯვებს, მაგრამ თუ ამ კვლევის შედეგებიდან გამოვალთ, რეგიონებში გაუჭირდება მმართველ ძალას გამარჯვება...

— მმართველ პარტიას გამარჯვება შეიძლება გაუჭირდეს ისეთ რეგიონებში, სადაც ტრადიციულად ძლიერია ოპონენტების პოზიციები. ასეთი არის რამდენიმე რეგიონი — ქვემო ქართლი, აჭარა და სამეგრელო, სადაც შედარებით ძლიერია ოპოზიციური პარტიები, განსაკუთრებით ძლიერია ნაციონალური მოძრაობის და ევროპული საქართველოს პოზიციები.

მაგრამ ისევ და ისევ ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ეფექტურად მოახერხებს ხელისუფლება საარჩევნო კამპანიის წარმართვას, ვის წარადგენს მერობის კანდიდატად. მაგალითად, თუ მერობის კანდიდატად წარადგინა ყოფილი ნაციონალი, რომელიც „ქართულ ოცნებაში“ გადაბარგდა, ამან შეიძლება გარკვეული ნეგატიური ფაქტორი შეასრულოს და ამომრჩეველზე იქონიოს გავლენა.

ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, დარჩენილ პერიოდში რამდენად მოასწრებს ხელისუფლება ინფრასტრუქტურული პროექტების დამთავრებას, რომლებიც ახლა მიდის რეგიონებში. შესაძლოა, და არც იმას გამოვრიცხავ, რომ არჩევნების წინ მოხდეს რამდენიმე სოციალური ინიციატივის ინიცირება, რომ ამით მოიგონ ამომრჩევლის გული.

ეს არის ტრადიციული პაკეტი მეთოდებისა, რომელსაც ყველა მმართველი პარტია იყენებს არჩევნებისას და რომელიც მეტ-ნაკლებად მუშაობს ამომრჩეველთა გარკვეულ ნაწილში, მაგრამ მე ვვარაუდობ, რომ თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა, ამომრჩევლის მონაწილეობა ამ არჩევნებში, იქნება შედარებით დაბალი.

— როგორ ფიქრობთ, ამომრჩეველზე გავლენას იქონიებს დაპირისპირება პრეზიდენტსა და მმართველ ძალას შორის?

— ეს დაპირისპირება თვითმმართველობის არჩევნებზე ნაკლებად აისახება. თვითმმართველობის არჩევნებზე ხალხს უფრო აინტერესებს ადგილობრივ პრობლემებს რომელი პოლიტიკური ძალა უკეთ მოუგვარებს და ის, რომ პრეზიდენი და მმართველი პარტია ერთმანეთში დაპირისპირებული არიან. მე მგონია, რომ ეს მაინცდამაინც გადამწყვეტ ზეგავლენას არჩევნებზე არ იქონიებს.

— ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი რამდენად მოახდენს გადამწყვეტ გავლენას?

— მე ასე მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი არ ჩაერევა არჩევნებში. ეს ცუდი არ იქნება, პირიქით, ლეგიტიმაციის თვალსაზრისით უკეთესი იქნება.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

დღის წესრიგშია გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხები

გენდერული **თანასწორობის უზრუნველყოფის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული არსებითი ნაბიჯები და სამომავლო გეგმები განიხილეს უწყებათაშორისი კომისიის პირველ სხდომაზე, რომელიც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.**

კომისიამ იმსჯელა სამი თემატური ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელთა მუშაობაში, სახელმწიფო უწყებებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაერთვებიან.

როგორც კომისიის თანათავმჯდომარემ, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გოჩა ლორთქიფანიძემ განაცხადა, თემატური ჯგუფების შექმნა შესაბამისობაშია იმ მთავარ სეგმენტებსა და სამოქმედო გეგმების შესრულებასთან, რაც კომისიის მანდატშია.

„საუბარია სამოქმედო გეგმებზე — გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე — გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის ვალდებულებების რეალიზაციაზე“, — განაცხადა გოჩა ლორთქიფანიძემ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ კომისიის მანდატით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება უწყებების კოორდინირებულ მუშაობას. **„მნიშვნელოვანია, უწყებებმა იმუშაონ კოორდინირებულად და სწორად განახორციელონ როგორც ამ მიმართულებით არსებული გეგმები, ასევე — მათი შესრულების მონიტორინგი. კომისიის პირველი სხდომა სწორედ იმას შეეხებოდა, რომ სწორად დავგეგმოთ ჩვენი საქმიანობა, შეჯერდეს და გაიწეროს ის ქმედებები, რომლებზეც შემდგომში საბჭო და ცალკეული უწყებები მოახდენენ რეაგირებას. ჩვენ მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ ამ პროცესს იმისთვის, რომ ამ საქმიანობას საპარლამენტო მხარდაჭერაც ჰქონდეს“,** — განაცხადა კომისიის სხდომის შემდეგ დეპუტატმა დიმიტრი ცქიტიშვილმა.

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის დებულება მთავრობის 2017 წლის 12 ივლისის დადგენილებით დამტკიცდა.

უწყებათაშორისი კომისიაში, რომლის პირველ სხდომას მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს უფროსი ნატალია ჯალიაშვილი ხელმძღვანელობდა, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის, სსიპ — იურიდიული დახმარების სამსახურის, სსიპ — საზოგადოებრივი მაუწყებლის, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები იმყოფებიან.

აფხაზურ-მეგრული ფოლკლორის პატრიარქი ძუკუ ლოლუა

სიმღერა ხომ ჩვენი გულის და სულის საზრდო, მისი განუყოფელი ნაწილია. ეს გასაოცარი ხელოვნება უხილავი სამყაროდან ხილულ სამყაროში გადმოსული შეგრძნებაა.

ქართული ხალხური სიმღერა რატომ გვევლინება როგორც მსოფლიო ფოლკლორის, მრავალხმიანობის საოცრება და მოვლენა, ალბათ იმიტომ, რომ მასში ასახულია საქართველოს ყველა კუთხისთვის დამახასიათებელი თვისებები, შრომითი და ყოფითი მდგომარეობა, ტრადიცია და ბუნებრივი მახასიათებლები. ეს მდიდარი შენაკადები სრულად არის გადმოცემული მის სასიმღერო ჰარმონიასა და მელოდიაში. მას საქართველოს ყველა კუთხეში ყოველთვის ჰყავდა თავისი ერთგული დამცველი, ჭეშმარიტად ამაგდარი ადამიანები. ამ საშვილიშვილო საქმის ერთ-ერთ ენთუზიასტად გვევლინება მეგრულ-აფხაზური სიმღერების შესანიშნავი მცოდნე, ნიჭიერი ლოტბარი და მომღერალი ძუკუ ლოლუა.

ძუკუ (პორფილე) ბახვას ძე ლოლუა დაიბადა 1877 წელს ხობის რაიონის სოფელ ქვალონში. ძუკუ ორი თვის ყოფილა, მამა რომ გარდაცვლია. წერა-კითხვა, სიმღერა და ჩონგურზე დაკვრა შეასწავლა დედამ, რომელიც განთქმული მოტირალიც ყოფილა და ხშირად იწვევდნენ მომთქმელად არა მარტო სამეგრელოში, არამედ იმერეთსა და ლეჩხუმში. დედის სურვილით ძუკუ სასულიერო მოღვაწეობას იწყებს. 1894 წლიდან იგი მედავითნეა სოფელ კოკსა და ჭალადიდში, რა დროსაც მონდომებით იწყებს ხალხური სიმღერების შესწავლას.

უკვე 1895 წელს ლოლუა ფოთის საეპარქიო სკოლაში სიმღერა-გალობას ასწავლის. ერთი წლის შემდეგ მან ქუთაისში მოუსმინა სანდრო კავსაძის ცნობილ გუნდს და აღფრთოვანებული დარჩა. ფოთში დაბრუნების შემდეგ ძუკუმ შეკრიბა მეზობელი სოფლების მომღერლები და 1897 წელს ქუთაისის თეატრში გამართა კონცერტი. ეს თარიღია მიჩნეული დასავლეთ საქართველოს მომღერალთა გუნდის დაბადების დღედ. ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ამ საღამოს მეგრულ და სვანურ მელოდიებთან ერთად, აფხაზურმა სიმღერებმაც გაიჟღერა. შემდეგ კონცერტები იმართება ბათუმსა და სოხუმში.

1899 წელს ქუთაისში მომხდარ ჩხუბში მონაწილეობის მიზეზით, ძუკუ დაატაპტიმრეს და 8 წელი მიუსაჯეს, რაც მაშინდელი რეჟიმის მიერ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას წარმოადგენდა.

იმდროინდელი კანონმდებლობით შეიძლებოდა მსჯავრდებულისთვის მისჯილი წლები სხვას გადაენაწილებინა. მისმა დამ ნოტიომ ეს წესი გამოიყენა, ითხოვა დაპატიმრება და ოთხი წელი ძმის გვერდით საკანში ისე გაატარა, რომ ძუკუმ ამის შესახებ არაფერი იცოდა, ოთხ წელიწადში ორივე განთავისუფლდა. უკვე 1903 წლის მაისში ძუკუ ლოლუას ანსამბლი სოხუმში ჩასულ ილია ჭავჭავაძეს ხვდება. ამ პერიოდიდან მისი ცხოვრება და საქმიანობა მთლიანად აფხაზეთს უკავშირდება. იგი უახლოვდება აფხაზეთის ინტელიგენციას, ხდება აქტიური წევრი მოსახლეობაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი პიროვნება, ქალბატონი მაშო დადიანი-შერვაშიძე. სოხუმში ლოლუა უახლოეს კავშირს ამყარებს ქართველ და აფხაზ თვალსაჩინო მოღვაწეებთან, როგორებიცაა: გ. შერვაშიძე, ა. ინალ-იფა, კ. ანჩაბაძე, ნ. ემხვარი, ა. შერვაშიძე, პ. ჭარაია, ნ. ჯანაშია, თ. სახოკია და სხვები. გადაწყდა, რომ აფხაზურ-ქართული სიმღერების გუნდის ხელმძღვანელობა დაეკისრებინათ ძუკუ ლოლუასთვის. ეს სრულიად ბუნებრივი გადაწყვეტილება გახლდათ, რადგან მას უკვე იცნობდნენ როგორც ხალხური სიმღერების ნიჭიერ ორგანიზატორს და უბადლო შემსრულებელს. იგი უკავშირდება აფხაზური სიმღერების მცოდნეებს: აბას კოლონიას, გუჯუჯი მარღანიას, მალხაზ ეშბას, შემდგომში ცნობილ საზოგადო მოღვაწეს კონდრატე ძიძარიას. ახლოს გაიცნო იმ დროს აფხაზეთში ერთ-ერთი პოპულარული სახალხო მომღერალი ჟანა აჩბა, რომელიც ვირტუოზულად უკრავდა აფხაზურ ეროვნულ საკრავ აფხიარცაზე.

აფხაზთა ცხოვრების წესის გაცნობის შემდეგ ძუკუ ლოლუა უდიდესი ინტერესით და სიყვარულით შეუდგა აფხაზური სიმღერების, ცეკვების და საკრავების შეგროვებას. ხმის ჩამწერი აპარატით, ფონოგრაფით ხელში, ფეხით მოგზაურობდა იქაურ დაბებსა და სოფლებში. მას აფხაზურ სიმღერებთან ერთად აინტერესებდა ადგილობრივი ხალხური ინსტრუმენტებიც. ქართულ საკრავებთან ერთად იგი სცენაზე ამკვიდრებს აფხაზურ ხალხურ საკრავებს — აჩარპინს, აფხიარცას და აიუმას. ძუკუს მიერ დაარსებული ანსამბლის შესახებ სწრაფად გავრცელდა ხმა, მის კონცერტს აფხაზეთის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული უამრავი ადამიანი ესწრებოდა. მომღერალთა გუნდმა ხელოვანის მადლიანი ნიჭის წყალობით შესანიშნავად აითვისა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები. გარდა აფხაზურ-მეგრული სიმღერებისა მუშავდებოდა იმერული, გურული და სვანური ხალხური მელოდიების საუკეთესო ნიმუშები. აღნიშნული ანსამბლი ივსებოდა და ძლიერდებოდა კარგი მონაცემების მქონე მომღერლებით. იმ დროს და შემდგომ წლებში აქ მღეროდნენ: კოსტა ალშიბაია, ნიკო ლომია, ალექსანდრე ნადარეიშვილი, გუჯა რუსია, ვარლამ კიზირია, კონსტანტინე ინალ-იფა, რემა შელეგია, კირილე პაჭკორია, მაქსიმე ანუა, ვლადიმერ ბაბილუა, პლატონ ფანცულაია, ნოკო ხურცია და სხვები. მის გარშემო შემოიკრიბნენ აფხაზი მომღერლები, რომელთაც ქართველები ძმებად მიაჩნდათ. იმ დროს არ იყო იოლი ასეთი საშვილიშვილო საქმის კეთება. ძუკუს სძრახავდნენ და უსაქმოდ მოხეტიალეს ეძახდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა მას დასახული მიზნისთვის არასოდეს უღალატია, ერთგულად ემსახურა ულამაზეს ხალხურ ხელოვნებას. იგი ყოველთვის ინარჩუნებდა აფხაზური სიმღერის სიტყვიერ-ლექსიკურ ქსოვილს, რომელსაც ინსცენირებულად ასრულებდა, მაგალითად, მისმა ანსამბლმა პროფესიულ სცენაზე პირველად არა მარტო სიმღერით შეასრულა, არამედ სცენიურად დადგა აფხაზური საფერხულო „შარათინი“, „სიმღერა დაჭრილზე“, „შრომის სიმღერა“ და სხვა. მიმზიდველ აფხაზურ მელოდიებს ერთვოდა რეჩიტატივები და ემოციური შეძახილები, რომელიც მსმენელსა და მაყურებელს ცოცხლად, შთამბეჭდავად წარმოუსახავდა შრომის პროცესს.

ძუკუ ლოლუა თავისი სიმღერა-ინსცენირებით ხშირად გამოსულა იქაური სოფლების მცხოვრებთა წინაშე და მათთვის გაბედულად უჩვენებია საკუთარი წარსულისა და დღევანდელობის ყოფითი სურათი. ეს ვოკალურ-ქორეოგრაფიული წარმოსახვები შეიძლება ჩაითვალოს აფხაზური პროფესიული თეატრის წინასაისტორიო პერიოდად, რაშიც ლოლუას დამსახურება უდავოდ მნიშვნელოვანია. იგი სალოტბარო და შემოქმედებით მოღვაწეობას აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას უთავსებდა. მისი ინიციატივით სოხუმში წიგნის პირველი ჯიხური — „დიოსკურია“ გაიხსნა. მოზრდილ ჯიხურს სამკითხველოც ჰქონდა, რომლის ორი ოთახი ძუკუს საცხოვრებელი იყო. აქ ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები, პოეტები, თეატრალური მოღვაწეები. მის ბინაში თავს აფარებდნენ რეაქციული რეჟიმისგან დევნილნი, ხანგრძლივად ცხოვრობდნენ ანსამბლის წევრები. მისივე ინიციატივით დაარსდა აფხაზეთის ფილარმონიული საზოგადოება.

გადიოდა წლები. ძუკუ ლოლუა დაძაბული შემოქმედებითი მუშაობით თანდათან დიდ სახელს იხვეჭდა. მის საქმიანობას ნამდვილი ოსტატის ხელი ეტყობოდა. 1912 წელს სოხუმში მომღერალთა გუნდის კონცერტს დასწრებია ცნობილი პოეტი იროდიონ ევდოშვილი. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ხალხურ სიმღერებს. შემდეგში პოეტმა „სახალხო გაზეთში“ მეტად საინტერესო წერილი გამოაქვეყნა, სადაც ქებით იხსენიებს მომღერალთა გუნდს და მის ლოტბარს. ანსამბლი ხშირად აწყობდა გამოსვლებს ოჩამჩირეში, გალში, გუდაუთაში, გაგრაში, სოჭში. სოჭში მოგზაურობის დროს მომღერალთა გუნდს არ დართეს კონცერტის გამართვის უფლება, მაგრამ ცნობილ ადამიანთა ჩარევით ეს საღამო მაინც გამართულა, რა დროსაც იქაურ მცხოვრებლებს საშუალება მიეცათ, პირველად მოესმინათ როგორც ქართული ასევე ძუკუ ლოლუას დამუშავებული აფხაზური ხალხური სიმღერის მარგალიტები - „აყიში“, „აზარი“, „საცეკვაო“, „ღიღინი“, „კლდის სიმღერა“, „მაჰაჯირი“, „ოზბაქი“, „იერიში“, „გუდისა“ და სხვა.

შემოქმედებითი თვალსაზრისით მეტად შთამბეჭდავი და საინტერესო იყო ძუკუ ლოლუასთვის 1914 წელი. ამ წელს მისი ანსამბლი საგასტროლოდ ჩავიდა აჭარაში, შემდეგ ეწვია ფოთს, ზესტაფონს, ჭიათურას, საჩხერეს და რაღა თქმა უნდა, ქუთაისს, სადაც ფეხი აიდგა, როგორც ლოტბარმა. კოლექტივის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის, რომ მან მონაწილეობა მიიღო ჭიათურაში, აკაკი წერეთლის პატივისცემად გამართულ ზეიმში. აქ მგოსანმა იხილა და მოისმინა აფხაზური ინსცენირებული სიმღერები. მან ძუკუ ლოლუას გუნდის მაგალითზე ნახა ქართველი და აფხაზი ხალხის სულიერი ერთიანობის, მეგობრობის და ძმობის დამადასტურებელი სანახაობა, გამოხატული გასაოცარი სილამაზის ხალხურ მელოდიებში. ეს გახლდათ უდავოდ დიდი მამულიშვილური საქმე.

1917 წელს ანსამბლს თბილისში იწვევენ, რა დროსაც პირველი გამოსვლისთანავე დიდი წარმატება ხვდა წილად, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ წერდა: „...ძუკუ ლოლუა ერთი იმათგანია, ვინც დგას ხალხური მუსიკის აღორძინების აკვანთან, იგი პატიოსანი მშრომელია და თავის საქმის ერთგული მოღვაწე“. სწორედ ამის შემდეგ მკვიდრდება აფხაზური სასიმღერო ნიმუშები ქართულ საშემსრულებლო პრაქტიკაში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა მათ გავრცელებას მთელ საქართველოში. ცხადია, დიდი საქმე უამრავ ხარჯებსაც ითხოვდა. ძუკუს რაც რამ ებადა, ყველაფერს გუნდს ახმარდა, რაშიც ხშირად მისი საყვარელი და - ნოტიოც მონაწილეობდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ხანგრძლივი გასტროლებიდან დაბრუნებულმა გუნდმა კიდევ ერთხელ მოიარა აფხაზეთის სოფლები და ქალაქები, რა დროსაც ძუკუ ლოლუას როგორც პოპულარულ ახლობელ და ძვირფას ადამიანს, ყველგან სიხარულით და სიყვარულით ხვდებოდნენ.

ძუკუმ 15 წლის განმავლობაში სოხუმში სულ ცოტა ოთხი გუნდი დაარსა, თუმცა მათი რაოდენობა ბევრად მეტია, რადგან ზოგიერთ საინფორმაციო წყაროში აღნიშნულია მუშათა რამდენიმე სასიმღერო კოლექტივის, მათ შორის სოხუმის მუშათა, სოჭის მუშათა და სხვა ანსამბლების ჩამოყალიბების ფაქტები. ეს ხალხური გუნდები ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა აფხაზეთში და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

1919 წელს ძუკუ ლოლუა საცხოვრებლად ფოთში გადადის, სადაც აარსებს ქართული ხალხური სიმღერების მოყვარულთა საზოგადოებას, რომლის მიზანი იყო საუკეთესო ხალხური სიმღერების აღდგენა, მათი შეგროვება, ფონოგრაფზე ჩაწერა და ნოტებზე გადატანა, აგრეთვე კარგი მონაცემების მქონე მომღერლების აღმოჩენა. მისივე მონდომებით მოეწყო დასავლეთ საქართველოს ხალხური მუსიკის მოყვარულთა საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელშიც მონაწილეობდა ცნობილი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი.

ძუკუ ლოლუამ თავისი მეუღლის, შეასანიშნავი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის დაშა ჩიქოვანის მხარდაჭერით და თანადგომით ფოთში ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების მოწაფეთაგან შეადგინა შერეული გუნდი. ეს იყო პირველი შემთხვევა ანსამბლში ქალების მონაწილეობისა. გუნდი საქველმოქმედო კონცერტებს მართავდა ფოთში, აბაშაში, სენაკში, სამტრედიაში...

საბჭოთა წყობილების შემდეგ ძუკუ ლოლუას დასავლეთ საქართველოს მომღერალთა გუნდების ინსტრუქტორად ნიშნავენ. იგი უამრავ რაიონში აყალიბებს მომღერალთა გუნდებს, პირადად არის ჩართული ამ მეტად საინტერესო საქმეში.

1924 წელს ძუკუ ქუთაისში ხელმძღვანელობს მომღერალთა დიდ გუნდს. ამ ანსამბლს ჯერ თბილისში უნდა ჩაეტარებინა კონცერტი, შემდეგ კი მოსკოვში საგასტროლოდ წასულიყო. რასაკვირველია, ეს უდიდეს შრომას მოითხოვდა. მან სულ რაღაც რამდენიმე თვეში მოამზადა მომღერალთა გუნდი. ამ დროს თბილისში სანდრო კავსაძის საიუბილეო საღამო იმართებოდა, რომელზეც ლოლუას სურდა, თავისი ანსამბლით გამოსულიყო. საიუბილეო საღამოზე გუნდი გამოვიდა მისი შემქმნელის, ლოტბარის და ხელმძღვანელის გარეშე. ძუკუ ლოლუა მოულოდნელად სასტუმროში ცუდად გახდა და ფილტვების ანთებით მაღალი (40-41 გრადუსი) ტემპერატურით გარდაიცვალა 1924 წლის აგვისტოს პაპანაქებაში 47 წლის წარმოსადეგი, მხნე ვაჟკაცი სიცხემ დაწვა... დაკრძალეს ვერის სასაფლაოზე. 1958 წელს მისი ნეშტი გადაასვენეს ქ. ფოთში.

განუზომელია მისი ამაგი და დამსახურება ქართული კულტურის და ხელოვნების წინაშე. ძუკუ ლოლუამ ხალხურ მელოდიას შთაბერა ახალი სიცოცხლე და დიდებულად ააჟღერა სცენაზე. მის მიერ დამუშავებულ სიმღერებს - „ჩელას“, „კუჩხი-ბედინერს“, „მახას“, „სიქოულ ბატას“, „ნადურს“, „ერეხელს“, „ჩქიმი ჯარგვალს“, „აკა სირექიშოს“ და უამრავ სხვა სიმღერებს წარმატებით მღერიან დღეს. მას არც მომავალში მოაკლდება მსმენელი. მის ხსოვნას პოლიო აბრამიამ 1934 წელს ასეთი სტრიქონები მიუძღვნა:

„შენი სიცოცხლე სიმღერა იყო,
შენ სიმღერებმა ჩაგიდგეს ენა;
მღეროდი მუდამ და აღტაცებით,
ვიდრე მღეროდი, დაშაქრე სმენა.
შენში მღეროდა მეგრული ფაცხა,
შარა, ორღობე, გლეხის ჯარგვალი,
ცირა, ჭაბუკი, მოხუცი, ბავშვი,
ჭირსა თუ ლხინში გზად მიმავალი...
ჟამი გავიდა! ახლა შენა ხარ —
მოგონება და ტკბილი წარსული,
სევდა ხარ, ურვა დაუცხრომელი
და სიმღერებად ხალხში გასული“.

გელა ქოქიაშვილი,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, ეკონომიკის დოქტორი, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი



ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად

„შეიძლებოდა მხოლოდ ორი გადაწყვეტილება: ან მიეღო კაპტანის წინადადება და გამხდარიყო გამყიდველი, ან წასულიყო მოსკოვში და მოეხსენებინა მომხდარის შესახებ. დაბოლოს მიიღო გადაწყვეტილება, და გენერალმა მოსკოვში გაგზავნა დეპეშა, მოითხოვდა გამოძახებას. მის მიერ დაკავებული თანამდებობა მაშინ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რომ გამოძახება დაუყოვნებლივ მოხდა. გენერალმა აიღო პაკეტი ფოტოგრაფიებით და გაფრინდა მოსკოვში. როდესაც უფროსობასთან გამოცხადდა, ის ძალიან გულთბილად მიიღეს, მაგრამ, როდესაც მოიკრიბა მთელი თავისი მამაცობა, გენერალმა თქვა: „მე გთხოვდით, არ გაგეგზავნეთ ამ საშუშაოზე, ნახეთ — რა გამოვიდა აქედან“, — და პაკეტი ფოტოგრაფიებით მაგიდაზე დადო. უფროსმა აიღო ფოტოგრაფიები, დაათვალიერა ისინი და ერთხანს მეტყველების უნარი წაერთვა. რამდენიმე ხნის შემდეგ მან თქვა: „კარგია, ვერაფერს იტყვი!“ — „რაო, თუ დამნაშავე ვარ, გამასამართლეთ, მაგრამ გამყიდველი მე ვერ ვიქნები“, — უპასუხა გენერალმა და უამბო, თუ როგორ იბირებდნენ მას გერმანელთა აგენტად. მას შესთავაზეს, გასულიყო ოთახიდან და მოეცადა დერეფანში. მალე გამოჩნდა დაცვაც. გავიდა ერთი დღე, საღამოც. არავის მიუტანია მისთვის არც დასალევი, არც საჭმელი. იცვლებოდა მხოლოდ დაცვა. ღამით მასთან მივიდნენ უცნობი ადამიანები და შესთავაზეს,| გაჰყოლოდნენ მას. „ესეც ასე“, — გაიფიქრა გენერალმა.

თუ სად წაიყვანეს ის, მას ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ როდესაც მანქანიდან გადმოდიოდა, დაინახა, რომ შენობის კარი არ ჰგავდა ციხეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ის აღმოჩნდა კაბინეტში, და მისკენ მიდიოდა სტალინი: „გმადლობთ თქვენი პატიოსნებისთვის. გაემგზავრეთ ბერლინში და გააგრძელეთ თქვენი საქმე. ჩვენ თქვენი გვჯერა. გისურვებთ წარმატებებს“.

გენერალმა სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, ისე გამოვიდა გარეთ. აქ უკვე იყო მისი უფროსი, რომელიც მას ისე შეხვდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. რამდენიმე საათის შემდეგ გენერალი უკან გაემგზავრა, ყოველგვარ წარმატებებს რომ უსურვებდნენ. მასთან შესული ჰიტლერელი კაპიტანი მან განსაკუთრებული კმაყოფილებით გაისტუმრა. გერმანელი ქალი კი დაიკარგა, მისი კავალერიც რომ არსად არ ჩანდა. მისმა მგზნებარე მოღვაწეობამ ამჯერად ვერ მოუტანა მოსალოდნელი სარგებელი ფიურერს“ (ა. ე. გოლოვანოვი. შორეული ბომბდამშენი).

სხვათა შორის, „აგრესიული“ სტალინის „გაბედული“ გამომააშკარავებელი მწერალი რაზუნ-სუვოროვი, რომელიც საბჭოთა სამხედრო დაზვერვის მოსამსახურე იყო შვეიცარიაში, ზუსტად ასე დაიჭირეს „მცირე მახეში“. ესე იგი ქალზე. ოღონდ არა გერმანელ ქალზე, ბრიტანელ მზვერავზე. იყო პიკანტური ფოტოგრაფიებიც. მაგრამ რეზუნს არ მიუმართავს თა-

ნ. ბაიბაკოვი

ვისიანებისთვის, არ უთქვამს სიმართლე, არჩია გაეყიდა. ესე იგი მოიქცა სრულიად საპირისპიროდ გენერალ პურკაევისა, რომელსაც არ შეეშინდა ყოფილიყო პატიოსანი და არც არასოდეს უნანია ამის შესახებ. ამის შესახებ ვურჩევდი დაფიქრებულიყვნენ ისინი, ვინც სახელგანთქმულ სუვოროვის ნაწარმოებებს კითხულობენ...

1944 წელს სტალინმა ნავთობის მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშნა ნიკოლაი ბაიბაკოვი, რომელმაც დაგვიტოვა მემუარები. დანიშვნა წინასწარ არ განხილულა — დანიშნეს, და მეტი არაფერი. სამი თვის შემდეგ სტალინმა მიიწვია ბაიბაკოვი.

„კრემლში, სტალინის მისაღებში, სამდივნოს გამგემ. ნ. პოსკრებიშევმა მთხოვა, ცოტა მომეცადა, ვინაიდან სტალინი დაკავებული იყო თავის კაბინეტში, რომელიღაც წიგნს ეძებდა. ორჯერ შევიდა მასთან პოსკრებიშევი, და როდესაც გამოდიოდა, ყოველთვის მთხოვდა, მომეცადა, ხოლო როდესაც მესამედ დაბრუნდა, მითხრა: მომეცადა, ხოლო როდესაც მესამედ დაბრუნდა, მითხრა:

— ამხანაგმა სტალინმა, ეტყობა, მონახა საჭირო წიგნი და ფეხზე მდგარი კითხულობს. შედით და წამოახველეთ, რომ გაიგონოს.

აუღელვებლად ვერ შევედი კაბინეტში. სტალინი მართლა იდგა ფეხზე ჩემსკენ ზურგით და რაღაც წიგნს კითხულობდა. ნაცრისფერი ფრენჩი ეცვა — და რაც ყველაზე მეტად მომხვდა თვალში — თხელი შევიოტის ჩექმები. ამან ლამის გამანადგურა. გენერალური მდივანი, უმაღლესი მთავარსარდალი — გაცრეცილი ჩექმებით. რა თქმა უნდა, ცნობილია, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა

— ო, თქვენ ხართ, ახალგაზრდავ, ამხანაგო ბაიბაკოვო? — ჩაილაპარაკა მან. წიგნი შემოდო სტელაჟზე, ჩამომართვა ხელი, შემომთავაზა, დავმჯდარიყავი მაგიდასთან, აინთო ჩიბუხი და დაიწყო სიარული კაბინეტში.

— ამხანაგო ბაიბაკოვ, ჩვენ თქვენ ნავთობის მრეწველობის სახალხო კომისრად დაგნიშნეთ...

...მოვიკრიბე სითამამე და ვთქვი:

— ამხანაგო სტალინ, ჩემს დანიშვნამდე არავინ დაინტერესებულა, შევძლებ თუ ვერა?..

სტალინმა გააბოლა ჩიხუხი და მიპასუხა:

— ამხანაგო ბაიბაკოვ, ჩვენ ვიცნობთ ჩვენ კადრებს, ვიცით, ვინ და სად დავნიშნოთ. თქვენ კომუნისტი ხართ და ეს უნდა გახსოვდეთ.

...შემდეგ სტალინმა მომცა შეკითხვა, რომელმაც საგონებელში ჩამაგდო:

— ამხანაგო ბაიბაკოვ, ფიქრობთ, რომ მოკავშირეები გაგვანადგურებენ, თუ განადგურების შესაძლებლობას დაინახავენ?

— როგორ შეუძლიათ მათ გაგვანადგურონ?

— მეტად უბრალოდ, — მიპასუხა სტალინმა, — ჩვენ შევქმენით ტანკებიც, თვითმფრინავებიც, მანქანებიც. გვაქვს ბევრი ხელში ჩაგდებული ტექნიკა. მაგრამ ისინი უძრავად დარჩებიან, თუ არ გვექნება ნავთობი, ბენზინი, დიზელის საწვავი. ნავთობი — ეს საომარი ტექნიკის „სულია“, მე კიდევ დავუმატებდი — მთელი ეკონომიკაც.

მიმდინარეობს იმის განხილვა, თუ რა არის საჭირო ნავთობის მოპოვებისათვის, ნავთობის ახალი ბაზის განვითარებისათვის, „მეორე ბაქოს“ შექმნისათვის. მთელი საათი მიმდინარეობს განხილვა და, დასასრულ, სტალინი მოულოდნელად მეკითხება:

— რა თვისებები უნდა ჰქონდეს საბჭოთა სახალხო კომისარს?

— თავისი დარგის ცოდნა, შრომისმოყვარეობა, კეთილსინდისიერება, პატიოსნება, საყრდენი თავის კოლექტივზე...

— ყველაფერი სწორია, ამხანაგო ბაიბაკოვ, ეს მეტად საჭირო თვისებებია, მაგრამ მაინც ყველაზე უმნიშვნელოვანესი?

მახსოვს, კიდევ რაღაც დავასახელე და გავჩუმდი.

— კიდევ რა? — ეწეოდა, ისე მკითხა სტალინმა.

— ამხანაგო სტალინ, სახალხო კომისრის თვისებების მთელი არსენალი დავასახელე. გამეხარდება, თუ რაიმეს მიკარნახებდით.

— ყველაფერი სწორია, ამხანაგო ბაიბაკოვ, — თქვა მან და მომიახლოვდა, — მაგრამ მთავარი თქვენ არ გითქვამთ.

მე სკამიდან წამოვდექი, მაგრამ ის თავისი ჩიბუხის ბოლოთი შეეხო ჩემ მხარს, დამაჯინა ადგილზე.

— საბჭოთა სახალხო კომისარს უნდა ჰქონდეს „ხარის“ ნერვები პლუს ოპტიმიზმი, — წყნარად ჩაილაპარაკა მან, როდესაც საუბარს ამთავრდებდა.

უნდა ვთქვა, რომ სტალინის ეს სიტყვები მთელი სიცოცხლის განმავლობაში დამამახსოვრდა. „ხარის“ ნერვები და ოპტიმიზმი მე ძალიან მჭირდებოდა, როდესაც 22 წლის განმავლობაში ვიყავი სსრ კავშირის სახლმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე. აქ საჭირო იყო არა „ხარის“, არამედ ფოლადის ნერვები, თანაც გამოწრთობილი ფოლადისა. ოპტიმიზმის გარეშე კი ყველაფერი დაიკარგებოდა. როდესაც სტალინის კაბინეტიდან გამოვედი, პოსკრებიშევს ვკითხე, თუ რატომ დადის უმაღლესი მთავარსარდალი ცუდი ჩექმებით.

— თქვენ შენიშნეთ, სად არის ეს ნახვრეტები? — შემეკითხა პოსკრებიშევი და დაუმატა: — ამხანაგმა სტალინმა თვითონ გაუკეთა ეს ნახვრეტები, რომ იმ ბებერებს არ შეეწუხებინათ“... (ნ. კ. ბაიბაკოვი. ორმოცი წელი მთავრობაში).

სტალინის რჩევები ყოველთვის განსაკუთრებით საქმიანი იყო, ვინაიდან მან შეძლო აეგო მეტად ეფექტიანი სახელმწიფო მანქანა, რომელიც მუშაობდა დიდი სამამულო ომის უმძიმეს სიტუაციაშიც კი. აი ნაამბობი მიხაილ ტიხონის ძე დეევისა, რომელიც თავისი პირადი გამოცდილებით დარწმუნდა, თუ როგორი დონისაა საქმის ორგანიზაცია სტალინის რუსეთში. თანაც — ომის დროს. მეორე მსოფლიო ომის დროს მ. ტ. დეევი საევაკუაციო ეშელონის უფროსად დაინიშნა. აი როგორ აღწერს ის შემდგომ ამბებს:

„მე გამომიძახეს კრემლში სტალინის მისაღებში, სადაც სტალინის მდივანმა პოსკრებიშევმა მითხრა: „აიღე ქაღალდი, ფანქარი, დაჯექი მაგიდასთან და დაწერე სია იმისა, რაც აუცილებელია შენთვის, რომ უახლოეს ვადაში აამოქმეო წარმოება ახალ ადგილზე“. დავჯექი მაგიდასთან და დავიწყე ყოველივე იმის ჩაწერა, რაც თავში მომივიდა, „სუფთა ველზე“ მუშაობისათვის. დაწყებული ხელთათმანებით, ნიჩბებით, ლურსმნებით და სამშენებლო მასალებით და დამთავრებული ელექტრომავთულებით, ტრანსფორმატორებით და მოწყობილობით. ვწერდი დილის 10 საათიდან დღის 4 საათამდე. შემდეგ სია პოსკრებიშევს გადავეცი.

ჩელიაბინსკის რაიონში გადასატანი ჩარხებითა და ადამიანებით დატვირთული ეშელონის გასვლის შემდეგ ყოველ გაჩერებაზე ჩემთან მორბოდა სადგურის უფროსი დეპეშების შეკვრით: „თქვენს მისამართზე გამოვაგზავნეთ...“ და იწყებოდა ჩამოთვლა იმისა, თუ რითი უნდა დატვირთულიყო ეშელონი სწორედ ამ სადგურზე. ჩელიაბინსკში ჩასვლის მომენტისთვის ეშელონში იყო ყველაფერი, რაც მე სტალინის მისაღებში დავწერე“.

სახელმწიფო მანქანა საათივით მუშაობდა. სტალინის ერთი ხელმოწერა საკმარისი იყო, რომ ინსტანციებისა და საწარმოების უდიდეს უმრავლესობას ემუშავა დალაგებით და დროულად გაეკეთებინა ის, რაც იმ მომენტისთვის იყო საჭირო. და ჩამოსულ ეშელონს ევაკუირებული ქარხნით იმიტომ შეეძლო, ასე სწრაფად მოეწოდებინა ფრონტისთვის პროდუქცია, რომ უკვე გზაში იყო მაქსიმალურად უზრუნველყოფილი, და არა იმიტომ, რომ მუშებს უკან იდგნენ არა შინსახკომის მუშაკები ხელში პისტოლეტებით. სხვათა შორის, მ. ტ. დეევის ნაამბობი თავდება შემდეგი სიტყვებით: „ახლა ჩვენმა ჩინოვნიკებმა გააჩაღეს ისეთი ბიუროკრატია, რომ მე პერსონალური „ვოლგის“ მიღებისთვის მომიწია, შემეგროვებინა სამოცდათვრამეტი ხელმოწერა, მათ შროის კოსიგინის ხელმოწერაც (კოსიგინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო — რედ.).

არანაკლებ საინტერესოა ალექსანდრ გოლოვანოვის ნაამბობიც, რომელმაც მიიღო, სტალინის ბრძანება გადაეტანა დივიზიის შტაბი მოსკოვში იმიტომ, რომ ძალიან დიდი დრო იკარგებოდა უმაღლესთან მგზავრობისათვის, რათა მიეღო დავალებები. მაგრამ სხვა ადგილზე გამგზავრებისთვის, როგორც ცნობილია, საჭიროა სათავსი, სადაც უნდა ჩახვიდე. სტალინი მივიდა საგანგებო ტელეფონთან, დაურეკა გენერალ ხრულიოვს, რომელიც პასუხისმგებელი იყო ზურგისთვის, და რაც ჩვენ უკვე ვახსენეთ ამ წიგნში. განთავსებისთვის წავიდა მასთან გოლოვანოვი.

„როდესაც გამოვედი სტალინისგან და დავაზუსტე, სად იმყოფებოდა ანდრეი ვასილის ძე, წავედი მასთან. მე მას ვიცნობდი მხოლოდ სატელეფონო ზარებით და არასოდეს მენახა. როდესაც კაბინეტში შევედი, დავინახე ძალიან მოძრავი, ენერგიული ადამიანი, რომელიც პირველივე სიტყვებით გიზიდავდა. მან იცოდა, რომ საცხოვრებელი უნდა მიმეღო მოსკოვში, შემეკითხა ჩემი ოჯახის შემადგენლობის შესახებ, მაგრამ როდესაც გაიგო, რომ უნდა გადმოვიყვანო მთელი შტაბი, გამოიძახა ორი ამხანაგი, ჩაიცვა და შემომთავაზა, წავსულიყავი მასთან ერთად. ბევრი შენობა შემოვიარეთ.

ა. იაკოვლევი

ყველაზე მეტად შეგვეფერებოდა ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის სათავსი, რომელიც იმყოფებოდა უშუალოდ ცენტრალურ აეროდრომთან, რაც საშუალებას გვაძლევდა სწრაფად, ოპერატიულად დავკავშირებოდით დივიზიის ნაწილებს, მაგრამ ის დაკავებული იყო. როდესაც ვიფიქრე, ვთხოვე, მოეძებნათ სათავსო აეროდრომთან ახლოს.

— რატომ ვეძებოთ? — თქვა ანდრეი ვასილის ძემ. — თქვენ შეგეფერებათ აკადემიის შენობა?

— რასაკირველია, — ვუპასუხე მე.

— მაშინ გადმობარგდით, ღმერთი გწყალობდეთ.

— მას მალე გაათავისუფლებენ?

— როდის შეგეძლებათ, რომ დაიწყოთ გადმოსვლა?

— თუნდაც ხვალ.

— მაშინ გადმოდით. ხვალისთვის შენობა თავისუფალი იქნება.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ
(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121-125, 131, 133, 135-139, 140-150, 154, 155

ახალი ნახტომი კავკასიისკენ
ამერიკული ტანკები თბილისშია

„დღეს უკვე არავისთვის საიდუმლო არ არის: არსებობს საფრთხე იმისა, რომ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთდაპირისპირება მასშტაბურ კონფლიქტში გადაიზარდოს. ამერიკა პერმანენტულად აძლიერებს თავის სამხედრო ყოფნას რუსეთის საზღვრებთან: ამ დღეებში ამერიკული ტანკები „აბრამსები“ და ქვეითთა საბრძოლო მანქანები — „ბრედლები“ და „სტრაიკერები“ რუსეთის მოსაზღვრე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გამოჩნდნენ, რომლებიც სამხედრო წვრთნებში მონაწილეობის მისაღებად ევროპიდან გადმოისროლეს“, — ნათქვამია ვრცელ სტატიაში (ავტორი რ.ველიევი), რომელშიც გადმოცემულია მასპინძელი ქვეყნის — საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართვები წვრთნებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებისადმი.

პუბლიკაციაში ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის მაიკ პენსის ვიზიტის მიზნებსაც: როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ განაცხადა, მისი ჩამოსვლა აშშ-სა და საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობას ადასტურებს. ამას მოწმობს აგრეთვე მაიკ პენსის განცხადებაც, რომელიც მან საქართველოში ვიზიტის წინ, ესტონეთში ყოფნის დროს გააკეთა.

„ღირსეული პარტნიორი-2017“ — ასეთია წვრთნების კოდური სახელწოდება, რომელშიც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სომხეთიც მონაწილეობს, — აღნიშნავს ავტორი. **„იმ ქვეყნებმა, რომლებიც ნატოსთან ჯერჯერობით მხოლოდ თანამშრომლობენ, წვრთნებში მონაწილეობის მისაღებად ამ ეტაპზე ოცეულები გამოგზავნეს: უკრაინამ 30 საზღვაო ქვეითი, სომხეთმა — 40 ჯარისკაცი, თურქეთმა კი, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთი „უხუცესი“ წევრია, მხოლოდ... სამი სამხედრო მოსამსახურე. ნიშანდობლივია წვრთნების ჩატარების ვადებიც: საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ათეულობით საბრძოლო ტექნიკის განლაგების თარიღი რუსეთთან ომის მე-9 წლისთავს დაემთხვა. სპეციალისტების აზრით, ეს ყველაფერი უბრალოდ და უმიზეზოდ არ ხდება. თვით წვრთნების კოდური სახელწოდებაც — „ღირსეული პარტნიორი“ ბევრ რამეზე მიანიშნებს: ნატოს პარტნიორებისათვის, უპირველესად კი საქართველოსთვის ესაა შანსი, აჩვენოს საკუთარი თავი მთელი თავისი საბრძოლო მზადყოფნით, რათა თბილისს ნატოში შესვლა გაუადვილდეს. თუმცა ექსპერტები თვლიან, რომ საქართველოს ხელისუფლების ოპტიმიზმი უსაფუძვლოა: ნატოს მრავალწლიან თამაშებს, რომელსაც ბრიუსელი თბილისთან აწარმოებს, მხოლოდ ის მიზანი აქვს, რომ როგორმე ალიანსი რუსეთის სამხრეთ საზღვრებს დაუახლოვდეს. არის სხვა მოსაზრებაც: დასავლეთმა ჩათვალა, რომ კავკასიაში მისი გააქტიურების დრო დადგა და ის რუსეთის ინტერესებს აინუნშიც არ აგდებს.**

კარგადაა ცნობილი, რომ სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ათწლეულების განმავლობაში, სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში, აშშ დიპლომატიურ შეტევას აწარმოებდა. ამ დროს ვაშინგტონი ძირითად ორიენტაციას კასპიის ზღვის ენერგორესურსების კონტროლზე აკეთებდა. ახლა კი, აშშ-რუსეთის დაპირისპირების ზრდა გავლენას მოახდენს მთელ მსოფლიოში არსებულ კონფლიქტებზე, მათ შორის მთიან ყარაბაღზეც.

ამერიკული ანალიტიკური სააგენტო „სტრატფორის“ მიერ მომზადებულ ანალიზში აღნიშნულია, რომ აშშ სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს რუსეთის დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებს და მათზე ზეწოლას ახორციელებს. მასში საუბარია აგრეთვე საქართველოზეც, რომლის ტერიტორიის მეშვეობით კასპიის ენერგორესურსები მსოფლიო ბაზარზე გადის და აზერბაიჯანზე, რომელზეც ვაშინგტონი სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს. ანუ ჩვენ მოწმენი ვხდებით იმისა, თუ როგორ ყალიბდება ახალი გეოპოლიტიკური დაპირისპირება მსოფლიოში“, — აღნიშნულია სტატიის დასასრულს.

„NOVOYE-VREMYA“(აზერბაიჯანი)

რუსეთი სსრკ-ში ბრუნდება
მოსახლეობას სასურსათო ტალონებს დაურიგებენ

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ღარიბ რუსებს სასურსათო ტალონებს დაურიგებენ. თანხა, რომელსაც სოციალურად დაუცველი ყოველთვიურად მიიღებს, 1500 რუბლს (63 ლარი) შეადგენს და მხოლოდ 1 კგ ხორცის, 1 კგ ყველისა და 15 კგ კარტოფილის შესაძენად არის საკმარისი.

მტკიცებულებების წარდგენა ტალონის მისაღებად

რუსეთის მთავრობამ საბჭოური პრაქტიკის აღდგენა გადაწყვიტა — მოსახლეობას სასურსათო ტალონებს დაურიგებენ. თანხა, რომელსაც ყოველთვიურად, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები რუსების ნაწილი მიიღებს, დაახლოებით, 1 500 რუბლია (63 ლარი მიმდ. კურსით). პროგრამის ამოქმედება 2018 წლიდან — საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამდე იგეგმება.

თანხა სპეციალურ პლასტიკურ ბარათებზე დაირიცხება და მას, სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები 19,8 მილიონი მოქალაქიდან, დაახლოებით, 15 მილიონი მიიღებს. ბარათზე დარიცხული1500 რუბლით სოციალურად დაუცველები რუსული პროდუქციის მკაცრად განსაზღვრული ჩამონათვალის შეძენას შეძლებენ.

რუსეთის მთავრობაში აცხადებენ, რომ პროგრამა ადგილობრივი წარმოების სტიმულირებას შეუწყობს ხელს და სამომხმარებლო მოთხოვნას გაზრდის, ექსპერტები კი მიიჩნევენ, რომ პროგრამის ამოქმედებას ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული სოციალური უკმაყოფილების გამო გეგმავენ.

სასურსათო ბარათის მისაღებად რუსეთის მოქალაქეს საჭირო დოკუმენტების წარდგენა და გასაუბრების გავლა მოუწევს. მან შესაბამის ორგანოებს უნდა დაუმტკიცოს, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა „მისგან დამოუკიდებელი, გარე“ მიზეზების გამო აღმოჩნდა.

სასურსათო ბარათების მფლობელები მაღალი ხარისხის პროდუქციის შეძენას ვერ შეძლებენ — მათთვის მხოლოდ მეორე და მესამე ხარისხის პროდუქტები იქნება ხელმისაწვდომი.

„სახელმწიფო მუქთახორების რჩენას ნამდვილად არ აპირებს“, — აღნიშნულია რუსეთის საპარლამენტო გაზეთის სტატიაში.

გამოკითხვის შემაშფოთებელი შედეგები

სასურსათო ბარათების იდეამ რუსულ საზოგადოებაში დადებითი გამოხმაურება ჰპოვა. მიმდინარე წლის თებერვალში, ВЦИОМ-მ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტთა 78% მსგავსი ტალონების შემოღებას მხარს უჭერს.

გამოკითხულთა 31% იმედს გამოთქვამს, რომ სასურსათო დახმარების პროგრამის მონაწილე გახდება, 26% კი აცხადებს, რომ სასურსათო ბარათის საჭიროებას განიცდის.

გამოკითხულთა 75% მიიჩნევს, რომ სასურსათო ბარათების პროგრამა საშუალებას მისცემს ღარიბ მოქალაქეებს, სრულფასოვნად იკვებონ, 56% კი შიშობს, რომ ბარათის მფლობელთა რაოდენობა მაქსიმალურად შეიზღუდება. ამასთან, ყოველი მეორე რესპონდენტი (52%) მიიჩნევს, რომ ბარათით მხოლოდ დაბალი ხარისხის საკვები პროდუქტების შეძენა იქნება შესაძლებელი, 53% კი აცხადებს, რომ აღნიშნული პროგრამა რუსეთის ბიუჯეტისთვის ხარჯიანი იქნება.

მსოფლიო პრაქტიკა

უნდა აღინიშნოს, რომ ღარიბი მოქალაქეების მხარდაჭერის პროგრამები ბევრ განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს. მაგალითად, საფრანგეთში კანონმდებლობა უკრძალავს სავაჭრო ქსელებს, მოახდინონ საკვები პროდუქტების უტილიზება, რაც ასტიმულირებს ღარიბი მოსახლეობისთვის საკვების დარიგებას. აშშ-ში კი, 1961 წლიდან „პროდუქტების საშეღავათო შეძენის პროგრამა“ (SNAP) მოქმედებს.

გასათვალისწინებელია განვითარებულ ქვეყნებსა და რუსეთში, სიღარიბის ცნების განსაზღვრა. მაგალითად, თუ რუსეთში შრომისუნარიანი მოსახლეობისთვის საშუალო საცხოვრებელი მინიმუმი 10 678 რუბლია (დაახლ. 400 ლარი მიმდ. კურსით), აშშ-ში ეს მაჩვენებელი 5-ჯერ მეტია, რაც ნიშნავს, რომ სოციალური დახმარების მიღება აშშ-ში იმ მოქალაქეს შეუძლია, რომლის შემოსავალიც თვეში 1 000 აშშ დოლარზე ნაკლებია. მსგავსი კრიტერიუმი რუსეთშიც რომ დაწესდეს, მაშინ ღარიბად მოსახლეობის ნახევარზე მეტი ჩაითვლებოდა.

ღარიბების რაოდენობის ზრდა რუსეთში

ВЦИОМ-ის სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, რომელიც მიმდინარე წელს ჩატარდა, რუსეთის მოსახლეობის, დაახლოებით, 67% — ანუ 98 მილიონი ადამიანი 2016 წელს საკვები პროდუქტების შესაძენად თანხებს ზოგავდა.

EUGeorgia.info წერდა, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში რუსეთში მოსახლეობა, თითქმის, 13%-ით გაღარიბდა.

რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის, როსსტატ-ის მონაცემებით, ყოველი მეშვიდე მოქალაქე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს — ეს მოსახლეობის 13,5%, ანუ 19,8 მილიონი ადამიანია.

რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის ჯამბულატ ხატუოვის ინფორმაციით, დღეს რუსეთში, სოციალურ დაწესებულებებში,დაახლოებით, 25 მილიონი მოქალაქე იკვებება. სასურსათო ტალონების პროგრამის შემოღების შემთხვევაში, სახელმწიფოს ხარჯზე კვებას 44 მილიონი ადამიანი მიიღებს, რაც მოსახლეობის თითქმის 1/3-ია.

რუს მრეწველთა გაერთიანების, „რუსეთის საყრდენის“ ვიცე-პრეზიდენტი პაველ სიგალი მოსაზრებას გამოთქვამს, რომ სასურსათო ტალონების პროგრამა „არ შეუწყობს ხელს სიღარიბის მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას“, თუმცა დაეხმარება ბევრ ოჯახს, „შიმშილობა აიცილონ თავიდან“.

http5//eugeorgia.info
/ka/article/625

◎ ვინ საქმეზე მიდის, ვინ – დასასვენებლად...

უვიზო მიმოსვლის ოთხი თვე

ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მისოსვლის რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისთვის აგერ უკვე ოთხ თვეზე მეტი ხანია, ამოქმედდა. წლევანდელი 28 მარტის შემდეგ, ევროპაში გამარტივებული წესით, საქართველოდან 55 ათასი კაცი წავიდა. ამასთან დაკავშირებით შს სამინისტრომ გარკვეული მონაცემები გაასაჯაროვა და გარკვეული კომენტარიც მოაყოლა.

აგვისტოს დამდეგისთვის არსებული ინფორმაციით, საქართველოდან ვიზალიბერალიზაციის რეჟიმით გასული 55 ათასზე მეტი კაციდან, სამთვიან (უფრო სწორად, 90 დღიან) ვადაში ქვეყანაში უკან სამი ათასზე მეტი კაცი არ დაბრუნდა. ბუნებრივია, რომ უცხო ქვეყანაში ყოფნის დადგენილი წესების დარღვევას როგორც იქაური საიმიგრაციო სამსახურის, ასევე საქართველოს კომპეტენტური ორგანოების შესაბამისი რეაქცია მოჰყვება, თუმცა კი, როგორც ჩანს, ყველაფერი ასე მარტივად არ არის. კერძოდ, შს საქმეთა მინისტრის მოადგილის **შალვა ხუციშვილის** განცხადებით, ხელაღებით იმის თქმა, რომ 90-დღიანი რეჟიმი საქართველოში უკან არშემოსულმა სამივე ათასმა მოქალაქემ დაარღვია, არ შეიძლება. სავსებით დასაშვებია, რომ ამ ხალხის გარკვეული ნაწილი ჩასვლის ქვეყნიდან შემდგომ ისეთ ქვეყანაში გადავიდა, რომელთანაც საქართველოს უვიზო რეჟიმი აქვს და უკან ჯერჯერობით არ ჩამოსულა, თანაც ვიზალიბერალიზაციის წესები არ დაურღვევია, თუმცა კი სასაზღვრო კონტროლს ეს პირები აღრიცხული ჰყავს.

– მიუხედავად ამისა, ეს ხალხი

პოტენციურ რისკ-ჯგუფში გვყავს შეყვანილი და სათანადო მონიტორინგსაც ვუწევთ, ვაკვირდებით – ვინ სიადან ჩამოვიდა, რა მიზნით იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ, რა ინტერესების მატარებლები იყვნენ და ა.შ., – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ, – დიდი რისკები, ჯერჯერობით არ წარმოშობილა, რაც იმითაა განპირობებული, რომ ქვეყნიდან გასულ ჩვენს თანამოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა, სამშობლოში დროულად ბრუნდება. არც მათი ადგილსამყოფელი ქვეყნებიდან მოგვდის რაიმე შემაშფოთებელი შეტყობინებები. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მონაცემებში აღრიცხულია ის პირები, ვინც ქვეყნიდან სახმელეთო საზღვრითაა გასული.

იმის გათვალისწინებით, რომ ზაფხულის ორი მესამედი უკვე გაილია და ბევრმა საზაფხულო შვებულებითაც ისარგებლა, ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ იქ მრავალი საქმიანი ვიზიტით ჩადის, ამდენად 55 ათასი კაცი არც ძალიან დიდი ოდენობაა. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ეროვნული ბანკის ბოლო ინფორმაციით, საქართველოს კომბანკების მიერ გაცემული საკრედიტო ბარათებით, საზღვარგარეთის ქვეყნებში აპრილ-ივნისში (ივლისის მონაცემები გასაჯაროებული ჯერჯერობით არ არის. – რედ.) საქართველოს მოქალაქეებმა, კერძოდ, დახარჯეს: აპრილში – 95,8 მილიონი ლარის, მაისში – 103,1 მილიონი ლარის, ივნისში – 112,7 მილიონი ლარის ეკვივალენტი, რაც სამ თვეში, მთლიანად, 311,6 მილიონ ლარს შეადგენს. ამრიგად, ყოველი „ქართული“ საკრედიტო ბარათიდან გასული თანხა დაახლოებით 5,7 ათასი ლარია (დაახლოებით 2,8 ათასი ევრო). ეს, ბუნებრივია, ევროპის მასშტაბებით ნამდვილად მწირი თანხაა და კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მეტად არასახარბიელო მატერიალური მდგომარეობა აქვს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან ვიზალიბერალიზაციის შედეგად მართალია ტუროპერატორებს საქმე ლამის ერთი-ორად გაუადვილდა, რასაც, თითქოს, საგზურების ფასების კლება უნდა მოჰ ყოლოდა, თუმცა კი, ისევე, როგორც ჩვენში ხშირად ხდება ხოლმე, ისინი საშუალოდ 15-20 პროცენტით... გაძვირდა. ტურისტული სააგენტოების წარმომადგენელთა განცხადებით, იმის მიუხედავად, რომ სასტუმროებისა და კვების, ასევე სხვა სახეობის მომსახურების საფასური იგივე დარჩა, ავიაბილეთების გაძვირების გამო ტურპაკეტების ფასი გაიზარდა. ამას, გარკვეულწილად ტურისტულ საგზურებზე მოთხოვნილების მატებამაც შეუწყო ხელი. არსებული სტატისტიკით, ევროპის სამხრეთში, განსაკუთრებით საბერძნეთსა და კვიპროსზე დასვენების მსურველთა ნაკადი დაახლოებით 40 პროცენტითაა მომატებული.

ოთარ ტურაგელიძე

ამოწმებენ სხვადასხვა დასახელების ნაყინს

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სამომხმარებლო ბაზარზე განთავსებული ქართული წარმოების სხვადასხვა დასახელების ნაყინი შეამოწმა.

პათოგენურ მიკროორგანიზმებზე – სალმონელასა და ლისტერია მონოციტოგენეზზე ლაბორატორიული კვლევა ჩატუტარდა 21 დასახელების ნაყინის 105 ნიმუშს, მათ შორის, ვანილის, ჭიქის, საოჯახო, კაკაოს, ყავის, შოკოლადის, ხილის, ესკიმო და ა. შ. სხვადასხვა ბიზნესოპერატორის მიერ წარმოებულ პროდუქციას.

ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნაყინის 105 ნიმუშიდან არცერთი არ არის დაბინძურებული პათოგენური მიკროორგანიზმებით.

გასულ წელს პათოგენურ მიკროორგანიზმებზე სულ შემოწმდა ნაყინის 39 ნიმუში, აქედან 20 ლისტერიასა და 19 – სალმონელაზე.

◎ საიუბილეო როიალი

დიდებული „სთეინვეი“

რამდენიმე წლის წინათ, ზაფხულში, ნიუ-იორკში შედგა კონცერტი, სახელწოდებით „სთეინვეის ზეიმი კარნეგი-ჰოლში“, მისი ორგანიზატორი გახლდათ 57-ე ქუჩის მოპირდაპირე მხარეზე განლაგებული, მაღალი კლასის როიალების დამამზადებელი კომპანია „სთეინვეი და ვაჟიშვილები“ და „კარნეგი-ჰოლი“, სადაც მსოფლიო დონის პიანისტები გამოდიან. ეს ერთგვარი სადღეგრძელო იყო ამ მარკის მეხუთასეათასე როიალის დამზადებასთან დაკავშირებით.

„სთეინვეის“ წარმოებული ნაწარმი არ გამოირჩევა სიუხვით. მაგალითად, იაპონური კომპანია „იამაჰა“ ორი წლის განმავლობაში თითქმის იმდენ როიალს ამზადებს, რამდენიც „სთეინვეიმ“ მთელი საუკუნის მანძილზე აწარმოა. არც თავიანთი ღირებულებით არ პირველობენ „სთეინვეის“ როიალები. ამის მიუხედავად, მსოფლიო სახელის პიანისტები, უპირატესობას ცხრაფუნტიან ამერიკულ („სტანდარტ დ“) „სთეინვეიდან“ გამოფრქვეული ბგერის ჟღერადობას ანიჭებენ.

სხვა მსხვილი კომპანიებივით, „სთეინვეიც“ თავის როიალებს კონცერტებისთვის უფასოდ სთავაზობს მათს ორგანიზატორებს, საფასურს მხოლოდ მათს გადატანასა და აწყობაში იღებენ. „სთეინვეი-ჰოლის“ სარდაფის ნაწილში არსებულ დარბაზში, ორმოცდაათი როიალი ყოველთვის სრულ მზადყოფნაში ელოდება სცენაზე მოხვედრის რიგს. აქ მოდიან მსოფლიოში ყველაზე გამოჩენილი პიანისტები, კონცერტის დაწყებამდე საყვარელ ინსტრუმენტზე წასამეცადინებლად.

სწორედ ამ მოკრძალებულ გარემოში ვლადიმერ გოროვიც მოკრძალებულად უკრავდა თვითონ სერგეი რახმანინოვის თანდასწრებით. ერთმა გამოჩენილმა პიანისტმა თქვა: „როცა აქ ვუკრავ, უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ, თვით კედლების მიმართაცო. მე ხომ ფიზიკურად ვეხები მსოფლიოს მუსიკალურ ისტორიას“.

ფორტეპიანოსა და „სთეინვეის“ ისტორია თითქოსდა ერთი აკორდის ორი ნოტია. ინსტრუმენტს, რომელზეც ფორტეს და პიანოს დაკვრაც შეიძლება, ასწლიანი ისტორია გააჩნდა, როდესაც გერმანული წარმოშობის, წითელ ხეზე მომუშავე დურგალმა ჰენრი ენგელჰარდ სთეინვეიმ, ნიუ-იორკში როიალების დამზადება დაიწყო. „სთეინვეის“ პირველი როიალის დამზადების დროს, რომელიც ამჟამად ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენის“ მუზეუმში დგას, აუცილებელი არ იყო, რომ კლავიატურაში 88 კლავიში ყოფილიყო, მხოლოდ ფირმაში მისულმა ჰენრის ვაჟიშვილმა თეოდორ სთეინვეიმ გააუმჯობესა ინსტრუმენტების კონსტრუქცია. მოხდა ინსტრუმენტის საყოველთაო ფორმულირება და აღიარება.

საიუბილეო მეხუთასეათასე „სთეინვეის“ როიალი

1872 წელს ნიუ-იორკში ასზე მეტ საწარმოში ამზადებდნენ როიალებს. სადღეისოდ კი მხოლოდ ერთი დარჩა. კომპანიის გასაძლიერებლად ბევრი გააკეთა თეოდორის ძმამ უილიამსმა. გამჭრიახმა კომერსანტმა ფართო საზოგადოება შეგნებულად დაარწმუნა მარტივ ჭეშმარიტებაში, რომ თითოეული ამერიკული სახლის მისაღებ ოთახში, აუცილებლად უნდა მდგარიყო როიალი. მისი შვილიშვილი ჰენრი სთეინვეი კი იხსენებდა, რომ თუკი რომელიმე ოჯახის ქალიშვილი როიალზე ვერ დაუკრავდა, აუცილებლად უკულტუროდ ჩაითვლებოდა.

მეასეათასე „სთეინვეი“ 1903 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ოცდამეექვსე პრეზიდენტს თეოდორ რუზველტს (1901-1909) აჩუქეს. როიალი ამჟამად ვაშინგტონის სმითსონის ინსტიტუტის მუზეუმში დგას. 1938 წელს დამზადებული მესამეათასე „სთეინვეი“ თეთრ სახლში დგას. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში რაღაცნაირად ვარაუდობდნენ, რომ ვერ შეძლებდნენ მეხუთასეათასე „სთეინვეის“ დამზადებას. შემსრულებლები ინსტრუმენტის ხარისხზე გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას.

1972 წელს, სთეინვეების საოჯახო საქმე კორპორაცია „ქოლამბია ბროდქასთინგ სისთემს“ მიეყიდა, ხოლო 1985 წელს იგი ახალმა მფლობელმა – ბოსტონის ფინანსურმა გაერთიანებამ შეისყიდა და წარმატებულად აღადგინა ეს წარმოება. მას შემდეგ, მნიშვნელოვნად გაიზარდა ფინანსური შემოსავლები და დღეს ყოველ ახალ როიალს თავისი მყიდველი ჰყავს.

„სთეინვეის“ როიალები მზადდება ახალი ხის და ლაქის სუნით გაჟღენთილ, მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ნიუ-იორკის რაიონ ქვინსში ამოქმედებულ ფაბრიკაში. იქ წარმოების ასწლიანი ტრადიციებია დაცული. როიალების ახალ კორპუსებს, 70 დღის განმავლობაში აჩერებენ გამოსაშრობ კამერებში. სამუშაოების დიდი ნაწილი ხელით სრულდება და ნაკლებად საჭიროებს თანამედროვე ტექნიკის ჩარევას. სამუშაოების დასრულების მერე, როიალების საბოლოოდ დამთავრებისა და აწყობის შემდეგ, ხელოსნები მთლიანად საკუთარ სმენას ანდობენ ნაწარმის ხარისხს. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს 12 ათასი დეტალისგან აგებული როიალი „სიმღერას“.

„სთეინვეის“ როიალებს დიდი ხანია, იცნობენ, მოსწონთ და აღიარებენ საქართველოშიც. ცნობილი ქართველი შემსრულებლები, „როინიშის“, „აუგუსტ ფორსთერის“, „პეტროფის“, „ბლუტნერის“, „შრედერის“, „იამაჰასა“ და სხვა მარკის როიალებთან ერთად, უმაღლეს შეფასებას აძლევენ „სთეინვეიდან“ გადმოღვრილი ბგერის ჟღერადობას და სიწმინდეს.

„სთეინვეის“ როიალები – ეს მართლაც დიდებულია!

მოამზადა
გელა ჯიღაურმა

ჭიდაობა

ევროპა ვერცხლით დავიწყეთ

ტამპერეში დაიწყო ახალგაზრდა ფალავანთა მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც ხალიჩაზე პირველები თავისუფალი სტილით მოჭიდავეები გავიდნენ. 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა გივი მაჭარაშვილმა მოიპოვა. ჩვენებურმა ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო: ჯერ იაპონელი ტაკაში დაამარცხა – 10:0, მერე მსგავსი ანგარიშებით უკრაინელ ოლექსანდრ ჰომიშლისა და გერმანიის ნაკრების წევრ ილია მატუხინს სძლია, ნახევარფინალში ამერიკელი კოლინ მური დაჯაბნა – 16:4. მაჭარაშვილს ოქროს დუბლამდე ერთი მოგებაღა დააკლდა – გადამწყვეტი პაექრობა რუსეთის ნაკრების წევრ შამილ მუსაევთან დათმო - 2:7.



ასპარეზობის პირველ დღეს კიდევ ორმა ქართველმა მოსინჯა ძალები, თუმცა, ისინი კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ. ნიკა კენჭაძემ (74 კგ) ყაზახ ჟაკსილიკ სულთანსა (14:11) და სომეხ ჰრაირ ალიხანიანს (6:1) კი აჯობა, მაგრამ მეოთხედფინალში თურქ მუჰამედ კუჩუკილდირიმთან წააგო (4:5). თურქი ნახევარფინალში დამარცხდა და კენჭაძეც დამამშვიდებელში ვეღარ მოხვდა. რაც შეეხება ედემი ბოლქვაძეს (60 კგ), ფინურ ხალიჩაზე მან ორი შეხვედრა დათმო – ამერიკელ მიშელ სტივენ მაკსა (9:11) და იაპონელ ჰირომუ საკაკისთან (2:5).

გივი გაგუა

ჭადრაკი

ნანა ძაგნიძე ათეულს დაუბრუნდა

ფიდემ სააგვისტოდ მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. ქალებში ნანა ძაგნიძე საუკეთესო ათეულს დაუბრუნდა, ხოლო ბაადურ ჯობავა ვაჟთა კლასიფიკაციაში 21 საფეხურით დაქვეითდა. ქალთა საუკეთესო ასეულს 2652 პუნქტით უწინდებურად ჩინელი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჰოუ იფანი უდგას სათავეში. საუკეთესო ათეულში შემდეგ მოდიან: ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2578), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2572), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2557), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2552), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2544), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2542), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2540), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2526) და ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2519).

ქართველთაგან პირველ ასეულში, ასევე, არიან: 21. ნინო ბაციაშვილი (2469), 26. ბელა ხოტენაშვილი (2459), 37. ლელა ჯავახიშვილი (2438), 61. ნინო ხურციძე (2400), 62. სალომე მელია (2399), 86. სოფიკო გურამიშვილი (2374), 97. მერი არაბიძე (2366).

ვაჟებში 2822 პუნქტით პირველ ადგილზეა მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია). ლიდერს 12 პუნქტით ჩამორჩება და მეორე პოზიციაზეა ამერიკელი ვესლი სო (აშშ). მესამე-მეათე ადგილებს ფაბიანო კარუანა (აშშ, 2807), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2803), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2799), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2797), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2792), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2789), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2783) და ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2783) ინაწილებენ. ბაადურ ჯობავა (2687) 57-ე ადგილზეა.

თამაზ პატარიძე

კრიმინალი

შერჩებოდა, განა?!

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ავსტრიელი პეტერ ზაიზენბახერი უკრაინელმა სამართალდამცავებმა კიევში დააკავეს. 2-გზის ოლიმპიურ (1984 და 1988), მსოფლიოსა (1985) და ევროპის (1986) ჩემპიონს არასრულწლოვან გოგონებთან სექსუალური ხასიათის დანაშაულში ედება ბრალი. ამ საქმესთან დაკავშირებით ვენის პროკურატურამ 3-წლიანი გამოძიების შემდეგ ზაიზენბახერს ბრალი ჯერ კიდევ შარშან ოქტომბერში წაუყენა, დეკემბერში კი მას შემდეგ, რაც ეჭვმიტანილი სასამართლოში არ მივიდა, მასზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა.

1997-2004 წლებში პეტერ ზაიზენბახერი ვენის ერთ-ერთ სპორტულ კლუბში მუშაობდა ძიუდოს მწვრთნელად და ვენის პროკურატურის ინფორმაციით, სწორედ იმ პერიოდში ჩაიდინა დანაშაული სამ არასრულწლოვანთან. საქმე ერთ-ერთი სავარაუდო მსხვერპლის ჩვენების საფუძველზე აღიძრა.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ზაიზენბახერს 1-დან 10 წლამდე პატიმრობა ელის.

პეტერ ზაიზენბახერი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს სათავეში 2010-12 წლებში ედგა, მერე კი აზერბაიჯანის ნაკრები ჩაიბარა, მაგრამ 2016 წლის დეკემბრის შემდეგ აღარც იქ ჩასულა.

კოგა კოგახიძე

ფეხბურთი

ნეიმარი დაბრუნდა და მიდის

საფეხბურთო სამყარო ახალი სატრანსფერო რეკორდის მოლოდინშია, ნეიმარმა კი აზიაში სარეკლამო ტურნე დაასრულა, ბარსელონაში დაბრუნდა და ვარჯიშზე გამოცხადდა, მაგრამ კატალონიური გუნდის თავკაცის ერნესტო ვალვერდეს ნებართვით საწვრთნელ პროცესში მონაწილეობა არ მიუღია. ამასთან, ბრაზილიელი „პარი სენ-ჟერმენში“ გადასვლაზე საუბრისგან ჟურნალისტებთან თავს იკავებს. თუმცა, როგორც ესპანური გამოცემები იტყობინებიან, ფეხბურთელი ასეთი სიტყვაძუნწი არაა თანაგუნდელებთან და კლუბის პერსონალთან, რომელთაც აცნობა, რომ საფრანგეთში მალე გაემგზავრება.

ესპანელი ჟურნალისტების ინფორმაციით, ნეიმარი პარიზში კვირის ბოლომდე ჩავა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის, 7 აგვისტოს კი „პსჟ“-სთან კონტრაქტიც გაფორმდება, მაგრამ მანამდე ბრაზილიელს როგორც მის ამჟამინდელ კლუბთან, ასევე ესპანეთის საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელობასთან მოუწევს საერთო ენის გამონახვა.

საფეხბურთო ლიგა ნეიმარის კონტრაქტის იმ პუნქტის დაბლოკვას აპირებს, რომელიც ფეხბურთელს „ბარსელონადან“ 222 მილიონ ევროდ წასვლის უფლებას აძლევს, ამის მიზეზი კი ნეიმარის მამის და ამავდროულად აგენტის ესპანურ კლუბთან დავაა. როგორც ირკვევა, 2016 წელს, როცა ნეიმარმა „ბარსელონასთან“ კონტრაქტი 2021 წლამდე გაახანგრძლივა, მის აგენტს ჰონორარის სახით 26 მილიონი ევრო უნდა მიეღო, კლუბი კი ამ თანხის სრულად გადახდას არ აპირებს, თუკი ნეიმარი მოქმედი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დრომდე არ დარჩება კატალონიურ გრანდში. მხარეების შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა სასამართლოში გაგრძელდება, თუმცა, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ალბათ ნაკლებად სავარაუდოა საქმე იქამდე მივიდეს, რომ დასახელებული 26 მილიონის გამო ჩაიშალოს ნეიმარის „პსჟ“-ში ტრანსფერი.

გიორგი შოთაძე

კალათბურთი

მხოლოდ „ჰიუსტონი“

რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „კლივლენდი“ და „ნიუ იორკი“ კაირი ირვინგს და კარმელო ენტონის გაცვლიდნენ, თუმცა, New York Post-ის ცნობით, კარმელო კლუბს იმ შემთხვევაში დატოვებს, თუ „ჰიუსტონ როკეტსში“ გადავა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინათ „ჰიუსტონი“ კრის პოლით გაძლიერდა და თუ კარმელოც ტეხასის გზას გაუდგება, „როკეტსს“ მომავალ სეზონში საჩემპიონო ამბიცია გაუჩნდება.

ვიტალი ჯაფარიძე

ინტერნეტიდან

კეისრის მკლავებში

მსოფლიოში ცნობილ არაერთ ლამაზმანს უოცნებია თეატრსა თუ კინოში ეგვიპტის ისტორიული დედოფლის – კლეოპატრას როლი შეესრულებინა. თუმცა, ეს ოცნება მხოლოდ რჩეულებს აუხდათ და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ბედი, თავის მხრივ, მხოლოდ ერთეულებს სწყალობს.

ლეგენდარული ესპანელი გოლკიპერის იკერ კასილასის არანაკლებ ლეგენდარული ცოლი, ხელობით ჟურნალისტი და მოყვარული მსახიობი სარა კარბონერო იმ ბედნიერ ასულთა შორის აღმოჩნდა, რომელთაც ავხორცი კლეოპატრას როლის შესრულების ტვირთი ხვდათ წილად და ეს ამბავი თავად სარას ძალზედ ახარებს.

კარბონეროს საფრანგეთის კინოსტუდიიდან დაუკავშირდნენ და შესთავაზეს, კლეოპატრას როლი შეესრულებინა ფილმში, სადაც ისტორიული მოვლენები განსხვავებული კუთხით იქნება ნაჩვენები. სარა კარბონერო ამ შეთავაზებას სიხარულით დათანხმდა და სულ მალე იკერ კასილასის ცოლი დიდებული გაიუს იულიუს კეისრის მკლავებში აღმოჩნდება.

როსტომ რაჭველიშვილი

პეკინის ქუჩაზე პირველი ეტაპის სამუშაოების 90%-ზე მეტი დასრულებულია

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მთავრობის სხდომაზე პეკინის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები შეაჯამა.

თბილისის მერის თქმით, დასრულებულია პირველი ეტაპის სამუშაოების 90%-ზე მეტი. 4 გზაჯვარედინიდან მოწყობილია საფუძვლის ფენები, სამზე კი — საფარის ქვედა ფენა. დარჩენილია მიცკევიჩის ქუჩის გზაჯვარედინი, რომელიც დასრულდება რამდენიმე დღეში.

„ყველას მოგეხსენებათ, რომ მიმდინარეობს პეკინის ქუჩის მასშტაბური რეაბილიტაცია და აქვე გეტყვით, რომ წყალმომარაგების ქსელზე სამუშაოები დასკვნით ეტაპზე გადავიდა. მიმდინარე კვირიდან, ჯივიპი სარეაბილიტაციო სამუშაოებს უკვე პეკინის ქუჩის მარჯვენა მხარეს დაიწყებს. პროცესი მიმდინარეობს დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, რათა 10 სექტემბრისთვის, სასწავლო წლის დაწყებამდე ჩვენმა თანამოქალაქეებმა პეკინზე შეუფერხებლად გადაადგილება შეძლონ. ინფრასტრუქტურული სამუშაოების პარალელურად, მიმდინარეობს კვლევა პეკინის ქუჩაზე ცალმხრივი მოძრაობის დაწესების თაობაზე“, — აღნიშნა მერმა.

დედაქალაქს კიდევ 1,5 ჰა-ზე მიწის ნაკვეთი დაუბრუნდა

დიღმის გასხვისებული ტყე-პარკის ნაწილიდან სარეკრეაციო სივრცის სახით დედაქალაქს კიდევ 1,5 ჰა-ზე მიწის ნაკვეთი დაუბრუნდა. აღნიშნული საკითხი გუშინდელ მთავრობის სხდომაზე განიხილეს.

როგორც მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, ჯამში, დიღმის გასხვისებული ტყე-პარკიდან ამ დროისათვის, ქალაქს 2,5 ჰა-ზე მეტი დაუბრუნდა.

„იცით, რომ სულ ცოტა ხნის წინათ, საკმაოდ ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად და ჩემი წინასაარჩევნო დაპირების შესაბამისად, წინა ხელისუფლებების დროს გასხვისებული დიღმის ტყე-პარკის 1 ჰა ტერიტორია ქალაქს სარეკრეაციო სივრცის სახით დავუბრუნეთ და დღეს მინდა, დიდი სიამაყით გამცნოთ, რომ დასრულდა მოლაპარაკება კიდევ ერთ კერძო მესაკუთრესთან 1,5 ჰა-ზე მეტი მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობაზე. ჯამში, დიღმის გასხვისებული ტყე-პარკიდან ამ დროისათვის, ქალაქს 2,5 ჰა-ზე მეტი დაუბრუნდა და მინდა, ყველას მოგილოცოთ ეს გადაწყვეტილება. დიღმის ტყე-პარკი უნდა დაუბრუნდეს ქალაქს, დაუბრუნდეს თბილისს და თბილისელებს! გამოსყიდულ მიწის ნაკვეთებზე უახლოეს პერიოდში საშემოდგომო გამწვანების ღონისძიებები განხორციელდება“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

შესაბამისი ხელშეკრულების პირობები თბილისის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინება.

განცხადება

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს მიერ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ხუდონი“-ს რეკონსტრუქციისა ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა

საჯარო განხილვის ჩატარების ადგილი: ქ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, მისამართი: ქ. წალენჯიხა, სალიას ქ№5;

საჯარო განხილვის ჩატარების თარიღი და დრო: 2017 წელი, 25 სექტემბერი, 14:00 სთ.

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ხუდონი“-ს რეკონსტრუქცია

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მიაწოდოთ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს 2017 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, ნ. ბარათაშვილის ქ2. საკონტაქტო პირი: ირაკლი ჯინორია, ტელ: 577 38 11 11 ელ. ფოსტა: irakli.jinoria@gse.com.ge

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს სათაო ოფისი. ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ2;

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ქ. წალენჯიხა, სალიას ქ№5;

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. 6; ტელ.: +995 (32) 272-72-60;

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3.

293-13-34; 599 797679

უშანგი დალალიშვილი, ჯემალ ხერგიანი, ვიტალი ჭკადუა, ომარ ქინქლაძე, მამული ლეკვეიშვილი, ბეგლარ ბატიაშვილი, რეზო ჟვანია, თენგიზ კალანდაძე, ნათელა მურღულია, ჯულიეტა ელოშვილი, ნარგიზა სულაქველიძე, ნანული ბეროშვილი ღრმა მწუხარებას გამოხატავენ უახლოესი ადამიანის, ღირსეული და კეთილშობილი პიროვნების

ჯემალ ქირიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გამოსათხოვარი

თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება ქ. ფოთის მერის ბ-ნი ირაკლი კაკულიას მამის

გურამ კაკულიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და აქტიური წევრის, ღირსეული მამულიშვილისა და თვალსაჩინო მეცნიერის, საქართველოსა და აჭარის პარლამენტის ყოფილი წევრის, პედაგოგიკურ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

იური ბიბილეიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა ბათუმში, 3 VIII, 15 სთ. გამოსვენება ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრიდან.

სანთელი

მეუღლე დოდო ჯღარკავა, შვილები ედიშერი, ნინო, ნატო, სიძეები ზურაბ გოთოშია, კახა ჩხარტიშვილი, შვილიშვილები შოთა, გიორგი, თათია გოთოშიები, მარია, გულო ჩხარტიშვილები, ძმა კარლო დუნდუა, ძმისშვილები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან

შოთა აკაკის ძე დუნდუას

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 3 VIII, 15 სთ. აბაშის რ-ნის სოფ. მარანში.

მევლუდ, ემა, გულისვარდ დუნდუები, დარეჯან ელიაძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან დუნდუების გვარის ღირსეული წარმომადგენლის, ჭეშმარიტი ქართველის, აბაშის კოლორიტის, ბიძის

შოთა დუნდუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

გია, დალი, მანანა ჯღარკავები ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან სანათესაოში გამორჩეული, კეთილშობილი ადამიანის, ღირსეული პიროვნების, ბიძის

შოთა დუნდუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

გოგი, რუსუდან რუხაძეები ოჯახებით დიდ მწუხარებას გამოხატავენ უახლოესი ადამიანის, სიკეთით აღსავსე პიროვნების, ბიძის

შოთა დუნდუას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

თენგიზ კალანდაძე ოჯახით მწუხარებას გამოხატავს ჭეშმარიტი მამულიშვილის, პროფესიონალიზმით აღსავსე პიროვნების

შოთა დუნდუას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის მეუღლეს, ქალბატონ დოდო ჯღარკავას, შვილს ედიშერს და ოჯახის სხვა წევრებსა და ახლობლებს.

მარინა კანდელაკი მწუხარებას გამოხატავს ღირსეული პიროვნების, კეთილშობილებით, სათნოებით, გულისხმიერებით აღსავსე პიროვნების

შოთა დუნდუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ჭირისუფალთ.

ბუხრინწას ორი მართვე და მურა დათვი თბილისის ზოოპარკს მიაბარეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობის — ბუხრინწას (Tyto alba) ორი მართვე თბილისის ზოოპარკს მიაბარეს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე, აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისიდან დარეკა მოქალაქემ, რომელმაც განაცხადა, რომ სახლში სხვენიდან გადმოვარდნილი ბუს ორი მართვე ჰყავდა.

დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლები გავიდნენ მითითებულ ადგილზე. ფრინველები საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული, ბუსნაირთა ოჯახის, კერძოდ, ბუხრინწას სახეობის მართვეები აღმოჩნდნენ.

ვიზუალური დათვალიერებით, ფრინველებს არანაირი დაზიანება არ აღენიშნებოდათ.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბუხრინწას მართვეები სამეგრელოდან თბილისში ჩამოიყვანეს და ზოოპარკს მიაბარეს.

* * *

თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე დატყვევებული მურა დათვი, რომელთან დაკავშირებითაც ინფორმაცია მედიისა და სოციალური ქსელების საშუალებით გავრცელდა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ორგანიზებითა და ზედამხედველობით, თბილისის ზოოპარკში გადაიყვანეს. ცხოველის ზოოპარკში გადაყვანა მისთვის საუკეთესო ბუნებრივი გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად გადაწყდა. თბილისის ზოოპარკში დათვი დროებით, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე დარჩება.დათვის ტყვეობაში ყოფნას, ბოლო რამდენიმე დღეა, მედიასა და სოციალურ ქსელებში აპროტესტებენ ბიზნესმენი თამაზ ელიზბარაშვილი, ააიპ ზოოლოგიური ცენტრის დირექტორი სოსო ჯიქურაშვილი და რამდენიმე აქტივისტი. ისინი ცხოველის გადაყვანას მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხვარიჭამიაში არსებულ ააიპ ზოოლოგიურ ცენტრში მოითხოვენ და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იმ პირის ინტერესების დაცვაში ადანაშაულებენ, რომელსაც ცხოველი უკანონო ტყვეობაში ჰყავს.

რათა კომფორტულად იმგზავროთ

სასიამოვნო სიახლე ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, მგზავრებისთვის Sleep Art-ის (სლიფ არტი) პროდუქცია უკვე ხელმისაწვდომია.

Sleep Art-მა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ქართული წარმოების საძილე ნიღბებისა და კისრის ბალიშების სტენდითაა წარმოდგენილი, სადაც საძილე ნიღბების ფასი 13 ლარიდან იწყება, ხოლო კისრის ბალიშების — 19 ლარიდან.

აღსანიშნავია, რომ Sleep Art ქართულ ბაზარზე 2017 წლიდან გამოჩნდა, რომელიც ლამაზი და კომფორტულ საძილე ნიღბებს და კისრის ბალიშებს წარმოებაზეა ორიენტირებული.

კრიშტიანუ რონალდუ შესაძლებელია, გისოსებს მიღმა აღმოჩნდეს

მსოფლიოს წამყვანი ფეხბურთელი, პორტუგალიის ნაკრებისა და „მადრიდის რეალის“ ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ შესაძლოა, 7 წლით ციხეში ჩასვან.

როგორც ირკვევა, მას 2011-2014წლების განმავლობაში გადასახადების დამალვაში ედება ბრალი. თანხა 14,7 მილიონ ევროს შეადგენს.

ფეხბურთელს შესაძლებელია, დასჯის ხანგრძლივობა შეუმცირონ, თუ იგი ყველა გადასახადს და ჯარიმას გადაიხდის.

რამდენიმე დღის წინათ მორიგი სასამართლო პროცესი გაიმართა, სადაც ფეხბურთელიც წარსდგა. მას ამ თემაზე პრესასთან ურთიერთობა არ სურს და აცხადებს, რომ თავს დამნაშავედ არ თვლის.

კარდაშიანების ოჯახს 100 მილიონს ედავებიან?

ბიზნესმენი სახელად ხუშმანდ ჰარონი ამტკიცებს, რომ ტელევარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა მისი იდეა მოიპარა. სწორედ მან დააპატენტა 2013 წელს ზუსტად ისეთივე მობილურის ფარნიანი დამცავი შალითა, რომლებსაც კარდაშიანების ფირმა დღეს აწარმოებს.

კიმ კარდაშიანი თავის მხრივ ამ აქსესუარს „LuMee“ ბრენდის სახელით, როგორც საკუთარს ისე ყიდის და რეკლამის სახით სელფებსაც ხშირად იღებს.

ხუშმანდ ჰარონი ირწმუნება, რომ მობილურის გადასაკრავი საკუთარი ფირმა „Snaplight“-სთვის მოიგონა, რომელიც ახლა გაკოტრების პირასაა. ეს უკანასკნელი 100 მილიონ დოლარს ითხოვს კომპენსაციისთვის.

კარდაშიანების წარმომადგენელი კი ამტკიცებს, რომ მათ არაფერი მოუპარავთ და ამ პიროვნებას მდიდარი ოჯახის გაძარცვა სურს.

ამერიკელი ახალგაზრდა ქალი გარდაცვლილ შეყვარებულს მაცივარში მალავდა

ამერიკაში, ოჰაიოს შტატში, მცხოვრები ახალგაზრდა გარდაცვლილი შეყვარებულის გვამს მაცივარში, პირადი ინტერესების გამო მალავდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში გარდაცვლილის როლი კარგად მოირგო მისმა ახალმა შეყვარებულმა.

როგორც ირკვევა, ისინი უნამუსოდ ცხოვრობდენენ სახლში, რომელიც გარდაცვლილ ქალბატონს ეკუთნოდა. იყენებდნენ მის საკრედიტო ბარათებს და ახალი გულის სწორი, თვალის ასახვევად, ყოფილი შეყვარებულის ძაღლსაც საგულდაგულოდ უვლიდა.

დანაშაულის სქემა მას შემდეგ გაირკვა, როდესაც წყვილმა მაცივარი მეგობარს მისცეს შესანახად... მან კი შემთხვევით აღმოაჩინა ქალბატონის გვამი და პოლიციას შეატყობინა.

ქალის გარდაცვალების მიზეზს სამართალდამცავები დაადგენენ, ბოროტმოქმედები კი საკადრისად დაისჯებიან, — აცხადებენ ქვეყნის პოლიციაში.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 5 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3952; ევრო - 2.8285;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1655;
100 რუბლი - 3.9838; თურქული ლირა - 0.6802;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4104;
1000 სომხური დრამი - 5.0083.

ამინდი 3 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13	დღე	+36
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+35
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+21,	დღე	+39
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+37
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+36

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge